# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

# IV კვარტლის ანგარიში

2016 წლის IV კვარტალის ანგარიში, რომელიც მოიცავს ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი საანგარიშო პერიოდს. ანგარიშში ნარატიული ფორმით განხილულია: რა სიახლეებია; რა მიღწევებია; რა მოხდა მნიშვნელოვანი მოცემულ საანგარიშო პერიოდში. ამასთან, დოკუმენტი მოიცავს მოკლე ინფორმაციას მიმდინარე პროცესებისა და სამომავლო გეგმების/ხედვების შესახებ.

- შესავალი
- მედია წარმოების ბლოკი
- მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი
- ახალი და მინდინარე ამბების ბლოკი
- ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკი
- წარმოების და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
- იურიდიული სამსახური
- არქივი

## შესავალი

**შესავალ ნაწილში მოცემულია მოკლე მიმოხილვა 2016 წლის IV კვარტალში შესრულებული სამუშაოებისა.**

## I. მედია წარმოების ბლოკი

**ტელე გადაცემები**

**პირადი ექიმი**

წამოვიწყეთ რამდენიმე პროექტი , რომლის მიზანიც არის მორალური თანადგომა გამოვუცხადოთ ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემებთან მებრძოლ ადამიანებს . პროექტი შედგება პირადი ისტორიებისგან, სადაც რესპოდენტები ყვებიან თავიანთ გამოცდილებაზე, გამოჯანმრთელების იმ გზაზე რაც დაავადებასთან ბრძოლის პერიოდში გაიარეს. პროექტი „ მე დავამარცხე კიბო“ ეძღვნება ქალებს, რომლებიც ებრძვიან ძუძუს კიბოს, რადგან სტატისტიკურად ძუძუს კიბო არის მსოფლიოში ქალებს შორის სიკვდიალობის მეორე ყველაზე გავრცელებული მიზეზი . ამ პროექტით ჩვენ გამოვეხმაურეთ ძუძს კიბოსთან ბრძოლის საყოველთაო აქციასაც, რომელიც ყოველი წლის ოქტომბერში მთელი მსოფლიოს მაშტაბით იმართება. პროექტის გმირები არიან ძლიერი ქალები, მათ გაიაეს ურთულესი გზა, არაერთი განსაცდელი, რომელიც თან ახლავს მკურნალობის პროცეს, როგორც ფიზიკური ტკივილი, ისე ემოციური სტრესი, იბრძოლეს სიცოცხლისთვის და დაამარცხეს კიბო . პაციენტები პაციენტებისთვის -ასეთია მათი სლოგანი, და ამჯერად პროექტის სახით არაერთ ქალს მორალურად ეხმარებიან ტელეეთერით . პაციენტების მორალურ თანადგომასთან ერთად, ამ პროქტით ასევე მოვუწოდებთ ქალებს პროფილაქტიკური გასინჯვისა და ადრეული იაგნოსტირებისკენ, რაც პრევენციისთვის აუცილებელია .

- პროექტი „ბედიანი „ მზრუნველობამოკლებული ბავშვების ცხოვრება ბედიანში, საოჯახო ტიპის სახლში.
- ბავშვების პირადი ისტორიები . რა გატაცებები აქვთ მათ, როგორია მათი ყოველდღიური ცხოვრება. მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ვაპირებთ შევახვედროთ პროფესიონალებს, რომლებიც ჩაუტარებენ მასტერკლასებს.
- პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობები - შეუზღუდავი უნარები“ შედგება პორტრეტების ციკლისგან. სიუჟეტები მზადდება წარმატებული ადამიანების შესახებ, რომლებსაც ამ მოცემულობით, შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. ისინი საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ მაყურებელს და ცდილობენ საზოგადოებას დაუმტკიცონ, რომ მიუხედავად შეზრუდული შესაძლებლობებისა , წარმატების მიღწევა და ოცნებების ასრულება სესაძლებელია.
- პროექტი „ომის თაობა“ ვეტერანებს ეძღვნება. პროექტში სხვადასხვა ასაკის და სხვადასხვა თაობის ომის ვეტერანები მონაწილეობენ. მაყურებელს საშუალება აქვს გაეცნოე მათ ცხოვრებას, თუ როგორ მოვიდნენ ომიდან დღემდე. ძალიან ბევრ მათგანს, დღეს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, გადატანილი აქვთ მძიმე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმა. მიუხედავად ამისა, ისინი საზოგადოების აქტიური წევრები არიან და ცდილობენ მაყურებლამდე საკუთარი სათქმელი მიიტანონ.
- პროექტი „healf team“ მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, მოსწავლეები, ჯგუფები, რომლების ჩართულები არიან სხვადასხვა კამპანიაში და ცდილობენ საზოგადოებაში ინფორმირებულობის ამაღლებას სხვადასხვა დაავადების სესახებ. ისინი ატარებენ შეხვედრებს სხვადასხვა ორგანიზაციაში, ხვდებიან საკუთარ თანატოლებს და ცდილობენ თანატოლ-განმანათლებლების ფუნქცია შეითავსონ.

**აღიარება/ჯილდო/ნომინაცია** -22 დეკემბერს გადაცემას „პირადი ექიმი-მარი მალაზონია“ მიენიჭა

ქართული ბრენდის სტატუსი

**სამომავლო გეგმები** - რეგიონების ჩართულობის გაზრდა– სხვადასხვა რაიონში არსებული სამედიცინო დაწესებულებების და რეგიონებში მომუშავე ექიმების სისტემატური მონაწილეობა გადაცემაში, შესაბამისად, უზრუნველყოფისთვის გამართული სკაიპი, პირდაპირი ჩართვა.

უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმების ჩართულობის გაზრდა – როგორც უშუალოდ გადაცემაში, ასევე ფეისბუქ–გვერდის მუშაობაში.

დაწყებული კამპანიის („აირჩიე ჯანსაღი ცხოვრების წესი პირადი ექიმის რჩევით“) ფარგლებში პროექტის – „ქსოვილის ჩანთა გარემოს და ჯანმრთელობის დასაცავად“ – უზრუნველყოფა და დაბრენდილ ქსოვილის ჩანთაში, მინის ბოთლსა და ხის კოვზთან ერთად, სხვა სასარგებლო ნივთების განთავსება, პრომო–არტის მომზადება.

გადაცემის ე.წ. ონლაინ სივრცის გაფართოება – საინფორმაციო პორტალის ჩამოყალიბება სხვადასხვა ელექტრონული პროექტის (მაგ., პროფესიული სამედიცინო ასოციაციების ბლოგები და უახლესი რეკომენდაციები, „ექიმები მედიცინის გარეთ“ (ისტორიული პორტრეტები – დანტე, კონან დოილი, და ვინჩი და ა.შ.), „სამყარო ექიმის თვალით“ და სხვა) განხორციელებისთვის.

პროდუქტის ე.წ. ვიქტორინების, სტატისტიკისთვის საჭირო გრაფიკების და გადაცემისთვის აუცილებელი სხვა ვიზუალური ელემენტების მომზადება.

მასობროვი ფორმატის სხვა პროდუქტების შექმნა – მაგ., უკვე ნახსენები ვიქტორინების დისკის გამოშვება, ფლაერების, პირადი ექიმის რჩევების ან ნუტრიციულად დასაბუთებული კვებითი რეცეპტების და სხვა დაბეჭდვა.

გარეკამპანია – სხვადასხვა აქტივობა იმის დასტურად, რომ პროექტი არა მარტო სატელევიზიო გადაცემაა, არამედ საზოგადოებრივი მოძრაობაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად. ამისთვის საჭიროა საჯარო ლექციების ჩატარების, ე.წ. ახალგაზრდული ჯანმრთელობის გუნდებისა და დიასახლისთა კლუბის უზრუნველყოფა.

მიმდინარე და ახალი სოციალური პროექტების („მე დავამარცხე კიბო“, „ომის თაობა“ „დედის დღიური“ და სხვა) განვითარება, ჩვენი პატრონაჟის ქვეშ მყოფი უპატრონო მოხუცების, ბედიანის ბავშვთა სახლის ბინადრების მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

„ონკოლოგიური პაციენტების მხარდამჭერის“ სტატუსის შემდგომი განმტკიცება, დაუნის სინდრომის და აუტიზმის მქონე პირთა მხარდამჭერი აქციები და კლიპები.

---

**ფერმა**

2016 წლის ახალ საეთერო სეზონზე გადაცემის მიზანი გახდა მცირე მეურნეობების აგრობიზნესად ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა და ინფორმირება!

გადაცემის შედეგად მიღებული სარგებელი - გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ გაიზარდა ბალახეული ჩაის მწარმოებელი კოოპერატივის გაყიდვები;

2015 წლის საუკეთესოდ აღიარებულმა ფერმერმა, გიორგი მჭედლიძემ „ფერმის“ შარშანდელ წამყვანს უსასყიდლოდ გაუშენა კაკლისა და ნუშის ბაღი, რითაც ის ჩააბა ფერმერულ საქმიანობაში;

გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ გაიზარდა მოთხოვნა ჩვენი რესპოდენტის მიერ წარმოებულ ჩირზე, რითაც მან მიიღო სარგებელი;

დეკემბრის ბოლოს გადაცემის პროდიუსერის ინიციატივით და ფერმერთა დახმარებით „ფერმის“ შემოქმედებითმა ჯგუფმა ჩაატარა საქველმოქმედო აქცია, ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქტები დაურიგა სამ მრავალშვილიან ოჯახს, რითაც დააპურა 26 ბავშვი!

გადაცემის წამყვანის, დემეტრე ერგემლიძის მიერ მომზადებულმა სიუჟეტმა გაიმარჯვა საერთაშორისო ორგანიზაცია „ოქსფამის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, თემაზე „ჯანსაღი კვება“.

---

**რეალური სივრცე**

„გამორჩეული რეალურ სივრცეში“ - პერიოდულად, „რეალური სივრცე“ მაყურებელს, ვიდეო პორტრეტების სახით, აცნობდა სხვადასხვა სფეროსა და სივრცეში საუკეთესო გადაწყვეტილებების, ინიციატივების, იდეების მქონე ადამიანებს, რომლებიც ამ ქვეყანაში ცვლიან ყოველდღიურ რეალურ სივრცეს უკეთესობისკენ. ეს ამბები, ნომინაციების სახით, წარმოდგენილ იყო წლის ბოლოს, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტში „წლის საუკეთესო“ და მაყურებელს საშუალება ჰქონდა აერჩია სხვადასხვა სფეროს, მისთვის საუკეთესო, წარმომადგენელი

**ჯილდო** - საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და იუნისეფის პრიზი - ბავშვთა საკითხების სიღრმისეულად გაშუქებისთვის.

ჩვენ გვქონდა გადაცემა თემაზე - სასკოლო განათლებაში არსებული პრობლემები. გადაცემაში მინისტრს საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ და კითხვებს უსვამდნენ უშუალოდ სკოლის მოსწავლეები. გვქონდა გადაცემა - ხმაურით შეწუხებულ ადამიანებზე. სტუდიაში ადამიანებთან სალაპარაკოთ არ

მოვიდნენ პასუხიმგებელი პირები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ძალიან მალე პარლამენტმა დაიწყო მუშაობა საკანონდებლო ინიციატივაზე. გვოქნდა გადაცემები, სადაც მევალეები, რომლებიც საკუთარი ქონებით არიან სესხებზე პასუხიმგებლები და გადაუხდელობის გამო, ქონების დაკარგვის საფრთხე ემუქრებათ, საუბრობდნენ და სახელმწიფოს სთავაზობდნენ, პრობლემის მოგვარების საკუთარ ხედვას. ასევე თავად მოგვმართა მთაწმინდის მოსახლეობამ, რომელიც ისტორიულ უბანში მშენებლობებს აპროტესტებდა.
„რეალურ სივრცეში“ გაშუქებულ თემებს ხშირად მოსდევს შედეგი. ამის ბევრი მაგალითია - ჩვენთან გასული სიუჟეტის შემდეგ დაიწყო ვანის რაიონის სოფელ ყუმურის ამბულატორიის მშენებლობა, ასევე ოზურგეთის თეატრის რეაბილიტაცია. ეთერში გასვლის შემდეგ შეიცვალა 10 წლის გივიკო ტაბატაძის ცხოვრებაც, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში პლაჟზე ცივ ყავას ყიდდა. ასეთი ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.
**სამომავლო გეგმები** - ვაპირებთ კონტრიბუტორების რეგიონული ქსელის გაფართოებას. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, აუცილებელია, გვყავდეს კონტრიბუტორები ყველგან; ადამიანები, რომლებიც გამოაგზავნიან მასალებს ყველა რეგიონიდან, ყველა სოფლიდან და თითოეული ადამიანის პრობლემას მოიტანენ ჩვენამდე. ვგეგმავთ კონტრიბუტორების გადამზადებას. მათი ტექნიკური და პროფესიული უნარების გასაუმჯობესებლად. ვმუშაობთ ფორმატის დახვეწაზე და ვეძებთ გამოხატვის ახალ ფორმებს. ვებისთვის სპეცპროექტების გასაგრძლელებლად და ამ პლატფორმაზე კონტენტის საჭირო ფორმით გადატანისთვის, ველოდებით საზ. მაუწყებლის ახალი ვებგვერდის შექმნას.

---

**საახალწლო პროექტი, დაჯილდოების ცერემონია “წლის საუკეთესო“**

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2016 წლის მთავარ საახალწლო პროექტს წარმოადგენს დაჯილლდოების ცერემონია სახელწოდებით „წლის საუკეთესო“ რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხის ეთერში გავიდა 31 დეკემბერს 21.20 წუთზე და განმეორებით 13 იანვარს . დაჯილდოების ცერემონია შედგა 26 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.
2016 წელს ბევრი რამ მოხდა პოზიტიურიც და ნეგატიურიც, ყველა ამ მოვლენას კი ჰყავდა თავისი მოქმედი გმირი. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაწყვიტა, გამოერჩია წლის საუკეთესო მოვლენა, ადამიანი და ინსტიტუცია 12 სფეროში და დაეჯილდოებინა ადამიანები, რომლებმაც ამ მოვლენებში მთავარი როლი შეასრულეს.
მაუწყებლის ვებ გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აპლიკაციის საშუალებით არჩევანს საზოგადოება ხმის მიცემით აკეთებდა.. სულ წარმოდგენილი იყო 12 ნომინაცია, თითოეულში 3 კანდიდატი, სულ 36 ნომინანტი მონაწილეობდა.წლის საუკეთესო კი თითო ნომინაციაში ერთ-ერთი გახდა. ხმის მიცემა 25 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდა. ხმის მიცემა შესაძლებელი იყო 12 საათში ერთხელ. გამარჯვებული გამოვლინდა ხმათა უმრავლესობის მიხედვით.
„წლის საუკეთესო“ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პირველად 2015 წელს გამართა და საფუძველი დაუდო ახალ ტრადიციას, ყოველ წელს საზოგადოებას საშუალება ექნება აირჩიოს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის მთავარ გმირებს ახალი წლის ღამეს საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემს ჯილდოს „წლის საუკეთესო”.
წელს „წლის საუკეთესო“ განსაკუთრებული იყო, რადგან 2016 წელს ტელემაუწყებლობის 60 წლის იუბილეა, ეს თარიღი დაჯილდოების ცერემონიაზეც აღინიშნა. საღამო ორი ნაწილისგან შედგებოდა , დაჯილდოების ცერემონია და საკონცერტო ნომრები. სულ იყო 12 მუსიკალური ნომერი , რომელსაც ქართული ანსამბლები და შემსრულებლები ასრულებდნენ. დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობდა დავით მაზანაშვილის ორკესტრი.

---

**ც სტუდია**

2016 წლის მე-3 კვარტალში გადაცემა C სტუდია ჩამოყალიბდა, როგორც ერთადერთი ტელეპროექტი ქართულ სატელევიზიო სივრცეში, რომელიც რეგულარულად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესებს და ყურადღებას უთმობს გლობალურ მოვლენებსაც აღნიშნულ სფეროში 2. C სტუდიამ დაამყარა პარტნიორული ურთიერთობები ქვეყნის წამყვანი კულტურული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო (როგორც სახელმწიფო, ასევე დამოუკიდებელი) ორგანიზაციების კოლექტივებთან და უზრუნველყო მათი კომუნიკაცია მაყურებელთან.
პარტნიორობა და რეგულარული თანამშრომლობა ისეთ მნიშვნელოვან კულტურულ და საგანმანათლებლო გაერთიანებებთან, როგორებიცაა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის კონსერვატორია, ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტები, კულტურის სამინისტრო, ეროვნული კინოცენტრი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ა.შ.
1. გადაცემის პარტნიორი პროექტი „ კონვერსია“ , რომელიც ხელს უწყობს საქართველოს რეგიონებში კულტურული ცენტრების რეაბილიტაციასა და ამოქმედებას ლოკალური რესურსებით

2. პარტნიორი პროექტი „ თბილისური კოლექცია“ , რომელიც ახდენს თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ვიდეოკატალოგიზაციას, საზოგადოებას აცნობს მათ საცხოვრებელ გარემოში არსებულ უცნობ არქიტექტურულ შედევრებს და ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესს

**სამომავლო გეგმები** - მსოფლიო ტექნოლოგიური ტენდენციების გათვალისწინებით, გადაცემამ ყურადღება უნდა დაუთმოს თავისი პროდუქციის სხვადასხვა მედია პლატფორმებზე სრულფასოვანი და მრავალფეროვანი ტრანსლიაციის განხორციელებას. იმის მიუხედავად, რომ “ C სტუდია” ერთ-ერთ დეკლარირებულ მიზანს მულტიმედიალურობის უზრნუვლეყოფა წარმოადგენდა, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები დღევანდელი მონაცემებით არასაკმარისია. გადაცემა ეცდება გაზარდოს პროდუქციის მაუწყებლობა სხვადასხვა მედია პლატფორმებზე, მათ შორის ერთ-ერთ მყველაზე მნიშვნელოვან ონლაინ გარემოში

---

**შაბათს საღამო ლიზასთან**

მოცემულ საანგარიშო პერიოდში იქცა ძალიან რეზონანსულ გადაცემად, გამოხმაურებების მიხედვით ჩანს, რომ მაყურებელი არის მადლიერი და კმაყოფილი. ოფიციალურ რეიტინგებში, არხის რეიტინგის გათვალისწინებით, ძირითადად ნორმალურ პოზიციებზეა და გაცილებით მეტი ინტერესია მის მიმართ იტერნეტ სივრცეში. ძალიან აქტიურად ვრცელდება და დიდი პოპულარობით სარგებლობს გადაცემის შემდეგ ცალ-ცალკე განთავსებული მუსიკალური ნომრები. ამის დასტურად შესაძლებელია გამოვიყენოთ იმ მუსიკოსების საკმაოდ შთამბეჭდავი სია, რომლებსაც აქამდე მიუღიათ მონაწილეობა გადაცემაში (ნატო მეტონიძე; ეთნო ჯაზ ბენდი „ირიაო“ ; ტრიო: თამარ ჭოხონელიძე, მაია ჯაბუა, ეკა კახიანი; ნოდიკო ტატიშვილი, ნათია პერანიძე, ნუკრი კაპანაძე, ზვიად ბოლქვაძე) და ასევე სხვა მუსიკოსების მხრიდან დაინტერესება და სურვილი მოხვდნენ შოუში. ასევე მადლიერი მაყურებელი (დღის განმავლობაში არაერთ მადლობას ვიღებთ ნაცნობი თუ უცნობი ადამიანებისგან).

**სამომავლო გეგმები** - გრძელდება მოლაპარაკებები სხვა მუსკოსებთან გადცემაში მონაწილეობაზე, იგეგმება გძელვადიანად, იქმნება ახალი თუ ძველი სიმღერების ახლებური ვერსიები. ასე თუ ისე, იჭრება ის პრობლემები, რომლებიც თან ახლავს მუდმივად ამ მასშტაბის ტელეპროექტს.

---

**ეპოქა**

მოცემულ საანგარიშო პერიოდში ეთერში გავიდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები

1. 6 ნოემბერი – ,,ფეოლას სტილი“ (რეჟისორი და მსახიობი ბაადურ წულაძე), ქრონომეტრაჟი 41წთ.
2. 18 დეკემბერი – ,,ხმების შემგროვებელი“– I ნაწილი ( ფოლკლორისტი ანზორ ერქომაიშვილი), ქრონომეტრაჟი 42 წთ.
3. 25 დეკემბერი – ,,ხმების შემგროვებელი“ – II ნაწილი ( ფოლკლორისტი ანზორ ერქომაიშვილი), ქრონომეტრაჟი 43 წთ.

***სამომავლო გეგმები*** – გადაღებულია და მონტაჟდება სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები

1. ,,ჩუმი მცველი“ – ეთნოგრაფისა და ისტორიკოსის ციალა ჩართოლანის შესახებ, რომელმაც ქართული კულტურის რელიქვიები, უძველესი ხატები მოიძია, გადაარჩინა და სვანეთის მუზეუმში დააბინავა.
2. გივი მარგველაშვილი – მწერალი, ფილოსოფოსი
3. ოთარ იოსელიანი – კინორეჟისორი
4. თემურ ჩხეიძე ( მასტერკლასები) – რეჟისორი
5. ,,ვაზში დაკარგულების“ სერიით – იმერეთი. ქართული ვაზის უნიკალური ჯიშები საქართველოს კუთხეების მიხედვით.

---

**ცოცხალი**

წარმოებაში ჩაეშვა „ცოცხალი“ განახლებული ფორმითა და კონცეფციით, რაც გულისხმობა თითქმის ყველა არსებული მუსიკალური ჟანრისა და სტილის ჩაწერას, ლოკაციების სპეციალურად არტისტებისთვის შერჩევას. გაღრმავდა კომუნიკაცია მუსიკოსებთან, რაც გულისხმობს მათთან ერთად კონკრეტული ცოცხალი სესიის დაგეგმვას, კომპოზიციებისა და ლოკაციის შერჩევას.

1. აქტივობა სოციალურ ქსელში, რაც განაპირობებს ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის მაყურებლის მეტ ჩართულობას და ინფორმირებას თანამედროვე ქართულ მუსიკალურ სივრცეში.
2. ცოცხალის facebook გვერდზე, პროექტით დაინტერესებულ ნებისმიერ მუსიკოსს აქვს შესაძლებლობა მოგვწეროს და გამოგვიგზავნოს საკუთარი ჩანაწერები.

სელექციის შემდეგ კი, ჩაწეროს ცოცხალი სესია და გააცნოს საკუთარი შემოქმედება მაყურებელს.

სამომავლო გეგმები - 1. საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივიდან 80 და 90-იანი წლების კომპოზიციების სელექცია და ახალი არტისტების მიერ, განსავავებული არანჟირებით მათი შეთავაზება მსმენელისთვის.

**ტელემანი**

31 დეკემდერს „ტელემანი“ განსხვავებული ფორმატით გავიდა ეთერში, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა მაყურებლის მხრიდან. 1. პროექტი „ტელემანი“ თავისთვად ითვალისწინებს საზოგადოებრივ ჩართულობას, რის გარეშეც იგი უუნარო იქნება და თავის ამოცანას ვერ შასრულებს.

2. 31 დეკემბერს საახალწლო ეთერისთვის „ტელემანი“ უშუალდ შეხვდა ადამიანებს და გადასცა სიმბოლური საჩუქრები, რამაც ძალიან დადებითი შდეგი გამოიღო და რეიტინგზეც აისახა.

სამომავლო გეგმები- 1. „ტელემანში“ იგეგმება კვირაში ერთხელ რადიოს გადაცემების დამატება, მოწვეულ სტუმართან ერთად, რაც უფრო მრავალფეროვანდ გახდის გადაცემას. ასევე ვგეგმავთ კითხვების დასმას ოქროს ფონდიდან, რაც უფრო მეტად შემეცნებითს გახდის გადაცემას

2. ვგეგმავთ გარე აქტივობებს, საზოგადოებასთან უშუალო შხვედრებმა ძალიან კარგი შედეგი და მათი მხრიდან დადებითი შეფასება გამოიღო.

---

**სერიალი დღეები და ღამეები**

ოქტომბრის , ნოემბრის და დეკემბრის თვეებში პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ შემდეგი სამუშაოები: პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა რამდენიმე ფილმის მონტაჟი. ასევე მზადდებოდა პროექტის ქუდი , ტიტრები და შეფუთვა. მიმდინარეობდა ხმის დამუშავება-გაწმენდა ( მასტერინგი) , ფერების კორექცია და ფილმების საეთეროდ გამზადება.

პროექტის ფარგლებში პირველი ფილმი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა 6 ნოემბერს. ეს იყო რეჟისორ გიორგი თავართქილაძის „ თანამებრძოლები“. დასრულებული სახით ფილმების ჩაბარების ბოლო ვადა იყო 30 ნოემბერი . გრაფიკი არ დარღვეულა. ყველა ფილმი საეთეროდ მზად იყო დათქმულ დროს. დეკემბრის ბოლომდე ეთერში გავიდა სულ 7 ფილმი . დანარჩენი სამი ფილმი კი იანვრის ბადეში განთავსდა.

დეკემბრის თვეში დავიწყეთ ახალ პროექტზე მუშაობა . ეს იყო რეჟისორ დიმიტრი ცინცაძის ფილმი „ ოჯახი“ . ფილმის გადასაღებად , წინამოსამზადებელ პერიოდს დაეთმო ათი დღე . შემდეგ 7 დღის მანძილზე დავიწყეთ ფილმის გადაღება, რომელსაც ვიღებდით რამდენიმე ლოკაციაზე. გადაღებების დასრულებისთანავე გაგრძელდა პოსტპროდაქშენის პერიოდი. დავიწყეთ მუშაობა ხმის დამუშავებაზე ( მასტერინგი) , ფერების კორექციაზე და ფილმის საეთეროდ გამზადებაზე . ფილმი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავა იანვრის ბოლო კვირას.

კიდევ ერთი პროექტი, რომელზეც მუშაობა ნოემბრის თვიდან დაიწყო ჩვენმა ჯგუფმა გახლავთ ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებების მიხედვით ადაპტირებული სცენარები , რომლის გადაღებებიც უნდა დავიწყოთ 2017 წელს.

ამ პროექტისთვის უკვე დეტალურად განვიხილეთ ბიუჯეტის საკითხები, შემოქმედებითი ჯგუფი პოზიციების მიხედვით და შევიმუშავეთ ფილმის გადასაღებად მოსამზადებელი სამუშაოების გრაფიკი.

**ევროვიზია**

ეროვნული კონკურსისთვის 28 მონაწილე შეირჩა საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა ყველა კონკურსანტს მისცა შანსი მიეღო მონაწილეობა ეროვნულ კონკურსში, თუმცა სამმა კონკურსანტმა თავად მოხსნეს კონკურსიდან განაცხადები.

საკონკურსო სიმღერები, მონაწილეების ბიოგრაფიები და ფოტოები განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის და ევროვიზიის ვებ გვერდებზე და ასევე გავრცელდა სოციალურ ქსელში.

ასეთი მაშტაბური ევროვიზიის ეროვნული კონკურსი, საქართველოს ევროვიზიაზე 10 წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად იმართება.

სამომავლო გეგმები

- 1.მზადება ეროვნული კონკურსისთვის.
- 2. საერთაშორისო ჟიურის წევრების მოწვევა
- 20 იანვარს ევროვიზიის ეროვნული კონკურსი დიდ საკონცერტო დარბაზში და გამარჯვებულის გამოვლენა
- სიმღერის ახლებური არანჟირება.
- რეჟისორის მოწვევა
- 6.სცენოგრაფიაზე მუშაობა
- ვიდეო კლიპის გადაღება
- ფოსთ ქარდის გადაღება
- 3. თანამშრომლობა დიზაინერთან კონკურსანტის კოსტიუმის თაობაზე.
- 4. გამგზავრება კონკურსზე
- 6. 9, 11 და 13 მაისს პირდაპირი ტრანსლიაცია უკრაინიდან, ევროვიზიის ნახევარფინალების და ფინალის.

**საბავშვო ევროვიზია**

1.საერთაშორისო მუსიკალური პროექტისთვის მარიამ მამადაშვილი ეროვნული კონკურსის მეშვეობით შეირჩა და ის საქართველოს წარმომადგენლად კონკურსზე სექტემბრის თვეში კომპეტენტურმა ჟიურიმ დაასახელა, რომელთა შორისაც იყვნენ: რეჟისორი ზაზა ორაშვილი, ვოკალის პედაგოგი რუსუდან ბახტაძე, პროდიუსერი ნატო დუმბაძე, ევროვიზიის მონაწილე მომღერალი ნიკა კოჩაროვი და საბავშვო ევროვიზიის მონაწილე ლიზი პოპი.

კონკურსზე მარიამ მამადაშვილი გიორგი კუხიანიძის მიერ შექმნილი სიმღერით „მზეო"წარსდგა. სწორედ ამ კომპოზიტორის სახელს უკავშირდება საქართველოს წარმომადგენლების გამარჯვება საბავშვო ევროვიზიაზე. ( 2008 წელს „ბზიკები"და 2011 წელს „ქენდი"

ოქტომბრის თვეში მიმდინარეობდა მუშაობა, სიმღერის ახლებურ არანჟირებაზე, სასცენო ვერსიაზე, კონკურსანტისთვის სპეციალური კოსტიუმი დაამზადა დიზაინერმა მარიკა ქურდუბაძემ, გადაღებული იქნა კონკურსანტის სასცენო ვიდეო, რომელიც ტრიალებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხზე და ასევე იმ 17 ქვეყანაში, რომლის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ საბავშვო ევროვიზიაზე.

13 ნოემბერს ქართული დელეგაცია გაემგზავრა მალტაში, ერთი კვირის განმავლობაში კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილეს მარიამს რეპეტიციების გარდა ჰქონდა, შეხვედრები ჟურნალისტებთან და პრესკონფერენციები.

20 ნოემბერს მალტიდან პირადპირ ტრანსლიაციას 18 ქვეყანა ახორციელებდა, მათ შორის საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხიც, კონცერტის კომენტატორი იყო, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელი დემეტრე ერგემლიძე, ქვეყანამ პირდაპირ ეთერში იხილა მარიამ მამადაშვილის გამარჯვება. 17 ქვეყნის კომპეტენურმა ჟიურიმ საქართველოს წარმომადგენლს უმაღლესი ქულები დაუწერა. საბავშვო ევროვიზიის 18 წლიანი ისტორიის მანძილზე საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც სამჯერ მოიპოვა გამარჯვება.

**სამომავლო გეგმები**

2017 წლის საბავშვო ევროვიზიის საქართველოში ჩატარების შესაძლებლობა, ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში გასამგზავრებლად მზადება და კონკურსანტის შერჩევის პროცედურები.

---

**სიტყვების თამაში**

გასართობ-საგანმანათლებლო შოუა, რომლის მიზანიც ქართული ენის ცოდნისა და მართლწერის თამაშის გზით შესწავლაა. გადაცემა მაყურებელს ქართული ენის ცოდნის გაღრმავებაში ეხმარება; აცოცხლებს მივიწყებულ ქართულ სიტყვებს და ხშირად ჩვენთვის უცნობ სიტყვებსაც განმარტავს; ავლენს სალაპარაკო ენაში დამკვიდრებულ არასწორ ფორმებსა თუ შესიტყვებებს და მაყურებელს მათ სწორ გამოყენებას ასწავლის. ასე თამაშ-თამაშით კი, მაყურებელი მშობლიური ენის ცოდნას სრულყოფს.

ახალი ფორმატით „სიტყვების თამაში" 2016 წლის 4 ნოემბერს ჩაეშვა ეთერში. მეოთხე საანგარიში პერიოდში მომზადდა 17 გადაცემა. პროექტში მონაწილეობა 32-მა ოჯახმა მიიღო და მათგან მხოლოდ გამარჯვებული 16 ოჯახი გადავიდა შემდეგ ეტაპზე. სწორედ ეს ოჯახები გააგრძელებენ ბრძოლას მერვედფინალურ ეტაპზე გადაცემის მთავარი პრიზის - დისნეილენდის საგზურის მოსაპოვებლად.

**სამომავლო ხედვები** - გადაცემის პოპულარიზაციისათვის იგეგმება სხვადასხვა სახის მარკეტინგული აქტივობები, როგორც სოციალურ ქსელებში, ასევე სხვადასხვა ქალაქებში, სკოლებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებზე.

გადაცემის ცნობადობის ასამაღლებად ასევე მნიშვნელოვანი და აუცილებელია „სიტყვების თამაშის" თამაშის აპლიკაციის შექმნა და მათი სხვადახვა სოციალური მედიის პლატფორმებზე განთავსება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი „App" თამაშები გადაცემის პოპულარიზაციის პროცესში კარგად აპრობირებული ტექნიკაა.

---

**უცნობი მუსიკა** - 2016 წლის მეოთხე კვარტალში „უცნობმა მუსიკამ" ათი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული გადაცემა შექმნა და მაყურებელს უდიდეს მუსიკოსებთან ერთად, სხვადასხვა მუსიკალური მიმდინარეობის სიღრმისეული განხილვა შესთავაზეა. უცნობი მუსიკის მაყურებელს/ მსმენელს საშუალება მიეცა მოხვედრილიყო გასული საუკუნის 70იან წლებში და ენახა/მოესმინა თუ როგორ შეიქმნა და ვითარდებოდა მუსიკალური მიმდინარეობა „New Wave"-ი. ასევე უნიკალური მუსიკოსის ტერი რაილის შემოქმედების მაგალითზე მაყურებელმა თვალი გაადევნა ამერიკული მინიმალიზმის მუსიკის ისტორიას. „უცნობი მუსიკის" მეოთხე საანგარიშო პერიოდში ავტორებმა, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული, ისეთი უდიდესი მუსიკოსების შემოქმედება შესთავაზეს მაყურებელს, როგორებიც არიან - ოლივიე მესიანი; თელონიუს მონკი; ჰენრი პერსელი; სტივ ქოულმენი; ლეონარდ კოენი; ელ გრინი და პატი სმიტი. გადაცემის ავტორების გადაწყვეტილებით, სოციალური ქსელის მეშვეობით, გადაცემებში ჩაერთო მაყურებლის ის ნაწილი, ვისაც შესწევდა უნარი "უცნობი მუსიკის" საკმაოდ მომთხოვნი პირობები დაეკმაყოფილებინა და გადაცემის სტუმრის რანგში წარმოედგინა ამა თუ იმ მუსიკის აკუსტიკურ-

კულტურული ხედვა. მეოთხე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ირანისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოების კულტურის ატაშეებთან, რათა „უცნობ მუსიკას“ შესაძლებლობა ჰქონოდა ადგილზე შეესწავლა და გაეშუქებინა მათ ტერიტორიაზე არსებული როგორც ახალი, ასევე ძველი ტრადიციული მუსიკალური აკუსტიკური მოვლენები. თუმცა, ბიუჯეტის შემცირების გამო აღნიშნული გადაცემების ჩაწერის პროცესი ჯერჯერობით შეჩერებულია. აღსანიშნავია, რომ ასეთი სიახლეები საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ ახალი მაყურებელი, კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გავხადოთ მათთვის გადაცემები, ახლოს გავაცნოთ მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს მუსიკოსები და საინტერესო ვიზუალურ-აკუსტიკური ხერხებით შევთავაზოთ მათ მსოფლიო მუსიკის შექმნის პროცესები.

---

**წიგნების თარო**

“ წიგნების თარო“ არის ორიგინალური ქართული ტელეთამაში, რომლის მონაწილეებიც 15-16 წლის მოზარდები არიან. პროექტის თემატიკას მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს და შესაბამისად გამარჯვებისთვის მთავარი წიგნიერებაა. თითოეულ თამაშში მონაწილეობს, სამ-სამი მოთამაშით დაკომპლექტებული, ორი სკოლის გუნდი. შეჯიბრი 7 რაუნდისგან შედგება, რომელთაგან ერთი გულშემატკივრების რაუნდია. ყველაფერი კი ბლიც-ტურით სრულდება. თამაშში მონაწილეობს მოწვეული სტუმარიც, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი, რომელიც რიგ შემთხვევებში მოთამაშეების დახმარებას ცდილობს. მონაწილეობის მსურველი 200-მდე სკოლიდან შეირჩა 32 საუკეთესო, რომლებიც ოლიმპიური სისტემით განლაგდნენ საჩემპიონატო ბადეში. შესაბამისად, წიგნების თაროს თითოეული სეზონი ცალკეული ჩემპიონატია. პირველი არხი პროექტის მონაწილეებს სხვადასხვა საჩუქარს გადასცემს, გამარჯვებულ გუნდს კი დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის საზაფხულო სკოლაში გაგზავნის!

ამჟამად „წიგნების თაროს“ მეორე სეზონი დასასრულს უახლოვდება. აღსანიშნავია, რომ გადაცემაში ფორმატის ცვლილებამ ძალიან დადებითად იმუშავა მაყურებლის მეტ ჩართულობასა და გადაცემის მრავალფეროვნებაზე. ინტერნეტში „წიგნების თაროს“ მომწონებლების რაოდენობამ 30.000-ს მიაღწია. გადაცემა ყოველ შაბათ-კვირას არხის სატელევიზიო რეიტინგის ტოპ ათეულშია.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ბავშვთა საკითხების გაშუქების მონიტორინგის ანგარიშში ‘წიგნების თაროზე“ შემდეგი სიტყვები ეწერა - „გადაცემის ფორმატი და შეჯიბრისას დასმული შეკითხვები სრულად შეესაბამება მონაწილე ტინეიჯერთა ინტერესებსა და ცოდნას და ითვალისწინებს პოტენციური აუდიტორიის ინტერესებსაც. შეიძლება ითქვას, რომ „წიგნების თარო“ იმ გამონაკლის გადაცემად შეიძლება დასახელდეს, რომელიც როგორც ფორმატის, ისე შინაარსის გამო სრულიად ადეკვატურია სამიზნე აუდიტორიისათვის, ხელს უწყობს მათ ინფორმირება და ცოდნის გაღრმავებას და ახდენს წიგნიერების პოპულარიზაციას. გარდა თავად გადაცემისა, მაუწყებლის ვებ-გვერდზე ქვეყნდება მოსწავლეთა ბლოგპოსტები, სადაც ისინი სასურველ თემებზე წერენ, რაც კარგი შესაძლებლობა ამ ასაკის მოსწავლეების თვითგამოხატვისთვის.“

გარდა ამისა „წიგნების თარომ“ დაიწყო საჯარო ლექციების ციკლი ლიტერატურაზე. ლექციებს 21, 18 იანვარს და 4 თებერვალს გაუძღვებიან გადაცემის წამყვანი და სცენარისტი ალექსანდრე ლორთქიფანიძე და გადაცემის სცენარისტი Toresa Mossy. ლექციების ციკლი გააერთიანებს სამ ლექციას - წიგნი და მკითხველი; წიგნი და მწერალი; წიგნი და მომავლის სამყაროები.

ლექციებზე დასწრება თავისუფალია, ლექციების შემდეგ გაიმართება „წიგნების თაროს“ ჩვენება. ლექციებზე გამოყენებული იქნება როგორც ვიზუალური და გრაფიკული მასალა, ასევე ინტერაქციული სავარჯიშოები და თამაშები.

პირველი ლექცია უკვე ძალიან წარმატებულად გაიმართა. გამოიკვეთა ძალიან დიდი ინტერესი გადაცემისა წამყვანისა და სცენარისტის მიმართ. ლექციაზე დაესწრო 100-მდე ადამიანი.

ამჟამად შემოქმედებითი ჯგუფი გრანდიოზული ფინალის დაგეგმვის პროცესშია. ჩასაწერია ასევე ბლოგერების ბონუს თამაში, რომელმაც წინა სეზონში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ფინალის ჩაწერის შემდეგ 1 კვირაში დაიწყება მესამე სეზონის სამზადისი. ვგეგმავთ უფრო მასშტაბური შესარჩევი ეტაპის გამართვას და ზოგადად შოუს დახვეწასა და განვითარებას.

---

**ხანმოკლე მეოცე საუკუნე**

გადაცემაში მაყურებელი გაეცნო მეოცე საუკუნის (საქართველოსა და მსოფლიოში მომხდარ) უმთავრეს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებს, ლიტერატურული, მუსიკალური, მხატვრული თუ არქიტექტურული შედევრების შექმნის ისტორიას, უდიდეს ბრძოლებს, გამოგონებებსა და აღმოჩენებს. აგრეთვე, დიდი ხელოვნების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების, პოლიტიკოსების, მოგზაურებისა და ა.შ პორტრეტებს.

მიმდინარეობს გადაღების პროცესი და უკვე ჩაწერილი გადაცემების მონტაჟი. ახალი სეზონიდან დაიწყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი და ვმუშაობთ გადასაღებ სივრცეში ახალი დეკორაციით, დეტალებითა

და რეკვიზიტებით, ეპოქასთან შესაბამისი გარემოს შესაქმნელად.
მიმდინარე კვარტალშიც, ისევე როგორც წინა პერიოდში გადაცემამ საკუთარი წვლილი შეიტანა საზოგადოების საერთო განათლების ამაღლების საქმეში. გადაცემაში არ არის ფაქტების მშრალი კონსტატაცია და მაყურებელს შევთაზეთ გასული საუკუნის მოზაიკურ სურათი, პარალელებითა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით. მაყურებელმა იხილა 1942-1949 წლების საინტერესო და მრავალფეროვანი ქრონიკა (თემების კონკრეტული რაოდენობა კი, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში გადაცემის წამყვანი შეეხო იმდენად ბევრია და მარავალფეროვანი, რომ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს).

---

**რადიო გადაცემები**
**რადიოპროექტი: „უცნობი მუსიკა“** - წარმოგიდგენთ სხვადასხვა დროს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილ თავგადასავლებით სავსემუსიკას.

---

**რადიოპროექტი: პროექტი “ჩაკრულო”** - გადაცემის თემები: ანსამბლი „გურჯაანი“, მრავალხმიანობის სიმპოზიუმი, ფონდი „ქართული გალობა“, ზვიად ბერიაშვილის გახსენება, ანსამბლები „ერქვანი“, „რუსთავი“, „დიდგორი“, „ბასიანი“, „ ადილეი“, „იალონი“, „კირიალესა“, აუდიოგამოცემა - აჭარულიტრადიციულიმუსიკა, ბერძენიშვილის სახელობის ქართული გალობის სკოლა, მიხეილ მცურავიშვილი.

---

**რადიოპროექტი: „ ერთი ხალხური სიმღერა“** - რადიოპროექტი: „ორიენტირები“ - გადაცემების თემები: ღია ნაწარმოები და ძველებური მუსიკა, მუსიკა ნოტების გარეშე, ბარტოკის „ანარეკლები“, კინომუსიკა და საუნდტრეკები, ქართული მუსიკალური რეალობა, გალინა უსტვოლსკაიას სონატები - მესიანის „ოცი მზერა ყრმა იესოზე“

---

**რადიოპროექტი: პროგრამა “ვარიაციები მუსიკალურ თემაზე”** - სტუმრები: ჰაინცჰოლიგერი,მარია-ლიზაშიუპბახი, გია ქობულაშვილი, ლელა მაქარაშვილი, ლუკა ოქროსცვარიძე, მანანა ახმეტელი, თეა მუქერია, კოტე კასრაძე, ლევ მარკიზი, თამარ კორძაძე, ქართული მუსიკის კონცერტი, ნატო მეცხოვრიშვილი, გიორგი მარგველაშვილი, მარიამ ვარძელაშვილი, თეონა ცირამუა

---

**რადიოპროექტი: პროგრამა “მუსიკალური რადიოანშლაგი”** –კლასიკური მუსიკის ფესტივალი ბათუმში, აფხაზეთის კულტურის ცენტრის კონცერტი, გია ყანჩელის ნაწარმოების პრემიერა, ფესტივალები: „შემოდგომის თბილისი“, „თელავის საერთაშორისო ფესტივალი“, „კამერული მუსიკის ფესტივალი“, „ბაროკო მუსიკის ფესტივალი“, ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი (კონცერტების მიმოხილვები, რეპორტაჟები), ვაჟა აზარაშვილის საიუბილეო საღამო, ესპანელი გიტარისტი, კახი სოლომნიშვილის დებიუტი ეროვნულ ორკესტრთან, მერი დავითაშვილის ბალეტი „წუნა და წრუწუნა“ - პრემიერა, უნგრულ-ქართული კონცერტი, სტუდენტური ორკესტრის კონცერტი

---

**რადიოპროექტი:პროგრამა “მხოლოდ ოპერა”** – სტუმრები: მიხეილ შეშაბერიძე, ჩაიკოვსკის ვოკალური მუსიკა, კონცერტი-აქცია „ერთად ყველაფერს შევძლებთ“, სალომე ჯიქია, მარიკა მაჩიტიძე ახალ პროექტში, დებიუტანტები ოპერის თეტრში, მეგი ჩიხრაძე, ბადრი მაისურაძე, პეტრე ამირანაშვილის იუბილე, მიხეილ აბრამიშვილი, ლაშა სესიტაშვილი, ზაზა გაგუა

---

**რადიოპროექტი: „ინტერმედია“** - მუსიკალურ-საინფორმაციოპროგრამა. მსოფლიოპრემიერების, კონცერტების, სპექტაკლების, ფესტივალების, ახალიდისკების, ამბებისკალეიდოსკოპი, საინტერესომოვლენებისშეფასებაუცხოურპრესაში.

---

**რადიოპროექტი:“კლასიკის საათი”**- გადაცემების თემები: გია ყანჩელი, გუსტავო დუდამელი, ფრიც კრაისლერი,

---

**რადიოპროექტი: თოქ - შოუ მუსიკალური შეხვედრები”**- გადაცემის თემები: გია ჭირაქაძე, გვანცა ზაქარეიშვილი, თბილისობა - 2016, ნიკო ლეკიშვილი, ეკა თევზაძე, სოსო ებრალიძე, ვოკალურისექსტეტი "THE QUINTESSENSE", ლია ხუგაშვილი, ქეთი ფარესიშვილი, ოთარ ტატიშვილი

---

**რადიოპროექტი:პროგრამა „რეტრო“** - როკ-ანსამბლი „ხომლი“, 6 გადაცემა მიძღვნილი ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებისადმი, ალექსანდრე კილაძის ჯაზ-ნონეტი, არჩილ კერესელიძე, მანანა ჩხიკვაძე

**რადიოპროექტი:პროგრამა"ცხოვრება ხელოვნებაში"** - ნუნუ დალაქიშვილი, ლიანა ისაკაძე, დემიკო ლოლაძე, ჯემალ ღაღანიძე (სამი გადაცემა)

**რადიოპროექტი: „დო-რე-მი"მუსიკალურ-შემეცნებითი გადაცემა.** - ამ საანგარიშო წლისათვის გადაცემას დაემატა ახალი რუბრიკა - „პრემიერები", სადაც პროფესიული მუსიკალური თეატრების სპექტაკლების და აგრეთვე სასკოლო მუსიკალური წარმოდგენების პრემიერები შუქდება და განიხილება.
1. გადაცებას აქვს თავის facebook გვერდი, სადაც მსმენელები ძალიან აქტიურობენ.
2. გადაცემის რუბრიკა - „ვიქტორინა" ხელს უწყობს ახალგაზრდა მსმენელების ჩართულობას.
ვფიქრობთ ისევე აქტიურად გავაშუქოთ მოზარდებისათვის საინტერესო მუსიკალური პროცესები და ასევე ახალგაზრდა მუსიკოსების ახალი წარმატებები.

**რადიოპროექტი:„თავისუფალი ლიტერატურა"** - IV კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) ეთერში გავიდა 14 გადაცემა, რომლებიც ეხებოდა ამ პერიოდში ლიტერარტურაში მიმდინარე პროცესებს.
1. გადაცემა ინტერაქტიულია. ეთერში გასვლის დროს მსმენელი გვიკავშირდება, სვამს კითხვებს, გამოთქვამს მოსაზრებებს. საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენს ლიტერატურის მიმართ, მსმენელებს განსაკუთრებით უყვართ, როდესაც ეთერში მოწვეული გვყავს პოეტები და დეკლარირებს თავის შემოქმედებას.
2. ასევე მსმენელები აქტიურობენ რადიოს facebook და youtube გვერდზე, გვწერენ რომელი ლიტერატურული მოვლენა აინტერესებთ, რომელი შემოქმედის მოსმენა სურთ. შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებთ საზოგადოების თხოვნებს.
სამომავლოდ ვგეგავთ უფრო გავააქტიუროთ საზოგადოებასთან ურთიერთობა და გავითვალისწინოთ მათი შეხედულებები.

**რადიოპროექტი:ი-ნტერაქტიული, გ-ასართობი, ს-აგანმანათლებლო გადაცემა, ანუ იგსBOX-ი მოზარდებისათვის.**- გადაცემას დაემატა რუბრიკები: ტექნობოქსი (ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, რეკომენდაციები გაჯეტების მოყვარულებისათვის), სპორტფაილი (სპორტის ამბები, ინფორმაცია სასკოლო სპორტული აქტივობების შესახებ, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია მოზარდებში); გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში;ჩატარებული კასტინგების შედეგად შეირჩა რამდენიმე ახალი უფროსკლასელი გადაცემის შემოქმედებით გუნდთან სათანამშრომლოდ;
IV კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) ჩაიწერა, დამონტაჟდა, მუსიკალურად და ვიზუალურად გაფორმდა 15 გადაცემა, რომელიც გავიდა ეთერში, ასევე გამოქვეყნდა ინტერნეტში (მაუწყებლის ვებ გვერდზე, Facebook-ზე, YouTube-ზე), მათ შორის 2 საგანგებო, საახალწლო-საშობაო გადაცემა, რომლებშიც ასევე საგანგებო ჰიტ პოინის პროგრამით გათვალისწინებული საშობაო ჰიტების გარდა, მსმენელმა გაიცნო ექსპერიმენტულ ვირტუალურ კარაოკეში მონაწილე მოზარდები (მათთვის სპეციალურად დამზადდა სახელდახელო ვიდეო კლიპები, არსებული მწირი რესურსის გამოყენებით);მომზადდა განსხვავებული და მრავალფეროვანი რუბრიკები (თემატიკა მოზარდების მიერ იქნა შერჩეული და მასალებიც მათ დაამუშავეს):
FM ბლოგერი - 13 მასალა
Flashback – 5
სანიშნე - 13
ტექნობოქსი - 1 (საპილოტე)
სპორტფაილი -1 (საპილოტე)
ინტერნეტის ჭია - 4
BOX რელიზი -კარაოკე - 8
ჰიტპოინტი - 15ინტერვიუ - 3

**რადიოპროექტი: „პუბლიცისტური მემკვიდრეობა"** -პროექტიდაიწყოციკლით "ქვეყნისმოყვარე – დიმიტრიყიფიანი". 2014 წელსამდიდიმამულიშვილისდაბადებიდან 200 წელიაღინიშა.რადიომსმენელსსაშუალებააქვსგაეცნოსდიმიტრიყიფიანისზოგიერთდღემდეუცნობწერილს, მემუარებს, ეპიზოდებსცხოვრებიდანდამოღვაწეობიდან.
კვირაში ერთხელ და მეორდება რამდენჯერმე კვირის განმავლობაში - ქრონომეტრაჟი 20-30 წუთი;
დიმიტრი ყიფიანის შემდეგ პროგრამა დაეთმო აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკას, რომელიც მიეძღვნა მისი დაბადებიდან 175 წლისთავს.ამის შემდეგ კი ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკას, ასევე მის საიუბილეო

თარიღთან დაკავშირებით.
1. მსმენელები მადლობას გვიხდიან ამ გადაცემის მომზადების გამო, ვინაიდან თვლიან, რომ წერილები ეხმიანება დღევანდელობას
2. გვიკავშირდებიან მსმენელები თხოვნით მოვასმენინოთ სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეების შეხედულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.
შემდგომპერიოდშიპროექტიდაეთმობასხვადიდქართველმოღვაწეთაპუბლიცისტურმემკვიდრეობას. ნააზრევს, რომელიცდღევანდელისაქართველოსთვის, ქვეყნისმომავლისგანსაზღვრისთვისუაღრესადმნიშვნელოვანია. 2017 წლიდან პროექტში იგეგმება გაშუქდეს დიდი ქართველი მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა

---

**რადიოპროექტი ,,კოლექცია''**- ოქტომბერი: წარვადგინეთ ნ.ანდღულაძის ვოკალური ფონდი და მასში დაცული უნიკალური ექსპონატებიკ.ვაშალომიძის გიტარების კოლექცია. 100-ზე მეტი 60-იანი წლების პოპულარული იტალიური სიმღერები გ.კაციტაძის მუსიკალური კოლექციიდან. ნ.სუმბაძის ,,თბილისური კოლექცია.ეროვნული ბიბლიოთეკის ნაბეჭდი და ელექტრონული საარქივო ფონდი წარვადგინეთ. ნოემბერი:ფოტო და ვიდეო კოლექცია, რომელსაც ინტერნეტში მილიონზე მეტი მნახველი ჰყავს. მ.მაჭავარიანის სახლ-მუზეუმები თბილისსა და არგვეთში.პირადი არქივები დაცული ეროვნულ ბიბლიოთეკაში. სტუმრად ბარბარესთან -კნეინა ბარბარე ჯორჯაძის სამზარეულო რეცეპტები. დეკემბერი: არაპროფესიონალი მხატვრის პოპ-არტი „ბურღულეულის მოზაიკა“;შ.რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემები (ბერძნული);ზ.კანდელაკის მუსიკალური და შემოქმედებითი კოლექციები. საშობაო ჰიტები მ.მაღულარიას კოლექციიდან

---

**რადიოპროექტი: „სიტყვა ქართული“** - მსმენელებს გავაცანი ენის ახალი ნორმები, აგრეთვე სტილისტურად დამკვიდრებული გაუმართავი ფორმები.
1. ამ გადაცემის მიმართ ძალიან დიდი ინტერესია. მსემენელები აქტიურად გვიკავშირდებიან და გვთხოვენ დახმარებას ზეპირი მეტყველებისა თუ წერითი ფორმების სწორად მიწოდებას.
1. სამომავლოდ ვგეგმავთ ყურადღება დავუთმომთ და მსმენელებს მივაწოდოთ რუბრიკებით „ბარბარიზმები“ და „ტავტოლოგიები“ სწორი დაწერილობა, ახალი ნორმები.

---

**რადიოპროექტი: „თამაზ ტყემალაძის ლიტერატურული საუბრები“** - ცნობილი ჟურნალისტი და ლიტერატორი თამაზ ტყემალაძე საზოგადოებას გააცნობს ქართველი კლასიკოსი მწერლებისა და პოეტების ცხოვრებას და მათ შემოქმედებას, ისეთ დეტალებს რაც ბევრმა არ იცის. მოგიყვებათ ცნობილი და ნაკლებად ნაცნობი ნაწარმოებების შესახებ. დაგამგზავრებთ ქართულ ლიტერატურას, რომელიც შორეულ წარსულში იღებს სათავეს და დღემდე გრძელდება.
ამ საანგარიშო პერიოდში გადაცემა დაიწყო ვაჟა-ფშაველას ცხოვრებით და შემოქმედებით. გავიდა 27 გადაცემა, რითიც მთლიანად გავაცანით მსმენელებს ვაჟას პიროვნება, შემოქმედება და მისი ღვაწლი.
1. მსმენელები გამოხატავენ დიდ კმაყოფილებას, რომ საზოგადოებრივმა რადიომ დაიწყო ეს პროექტი და აღნიშნავენ გადაცემის საჭიროებას.
2. გვიკავშირდებიან სხვადასხვა რეგიონიდან, გვთხოვენ გადაცემის ხშირად გამეორებას, ასევე შედიან რადიოს ვებ-გვერდზე, სადაც შეუძლიათ განმეორებით მოუსმინონ ჩანაწერს
სამომავლოდ ვგეგმავთ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის და ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მსმენელებისათვის გაცნობას.

---

**რადიოსერიალი „ჩვენი ქალაქის პატარა ამბები“** - ყოფითი ისტორიები საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ საინტერესო ადამიანების ცხოვრებიდან, მოგონებები იმ ისტორიული ფაქტების შესახებ, რომლის მონაწილე ან მოწმენი ყოფილან ისინი.
IV კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) ჩაიწერა, დამონტაჟდა, მუსიკალურად გაფორმდა და ეთერში გავიდა 14 გადაცემა (საახალწლო გადაცემის ჩათვლით) სხვადასხვა პიროვნებების მონაწილეობით.
. ვინაიდან გადაცემა მიდის ჩანაწერით, მსმენელი გვიკავშირდებიან გადაცემის ფბ გვერდზე, გვწერენ თავის ისტორიებს, გამოთქვამენ გადაცემაში მონაწილეობის სურვილს.
2. მსმენელები რეკავენ რედაქციაში და ცენტრალურ სააპარატოში და გამოთქვამენ მადლიერებას საინტერესო გადაცემისთვის.
1. 2017 წლიდან ვგეგმავთ შევიტანოთ გადაცემის ფორმატში ერთგვარი ცვლილება - ჩავწეროთ გამოჩენილი ქართველი ადამიანების შთამომავალთა მოგონებები მათ წინაპრებზე. უკვე გავიდა ნინო გოცირიძის (დავით კლდიაშვილის შვილთაშვილი) მოგონებები 2 გადაცემად.

## II. მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი

მეოთხე კვარტალი (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) მედიისა და კომუნიკაციის ბლოკისთვის შემდეგი ძირითადი აქტივობებით გამოირჩეოდა:
საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ დაგეგმილ კონფერენციებზე EBU News Exchange და ახალი ამბების მე-11 ასამბლეა.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრაში ბენეფიციარებთან, სადაც სხვა პროექტების ფარგლებში ჩატარებულ საქმიანობების და შედეგების შესახებ იმსჯელეს.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი გერმანელ რეჟისორთან, რომლის ფარგლებშიც რეჟისორი გადაიღებს დოკუმენტურ ფილმს პატრიარქზე და შემდგომ ფილმი გადაეცემა საზოგადოებრივ მაუწყებელს.
ორგანიზება გაეწია 11 ოქტომბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრესცენტრში პროექტთან დაკავშირებით ,,გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის" საზოგადოებრივი მაუწყებლის, აშშ-ის საელჩოს და რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის (GARB) ერთობლივ პრესკონფერენციას. პროექტის პარგლებში მომზადდა ვებ-გვერდი ხუთ ენაზე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ), რაც შესაძლებლობას მისცემს მსურველს მის მშობლიურ ენაზე გაეცნოს რეგიონში მიმდინარე საკითხებს http://multitolerant.gpb.ge/
შეიქმნა 1tv.ge ახალი ამბებისა და ვიდეოს მობილური ვერსია; პროექტ „წლის საუკეთესოს" ვებ გვერდი http://1tv.ge/projects/sauketeso/?page=about და ფეისბუქ აპლიკაცია; არქივის პროექტი - საზოგადოებრივი მაუწყებლის ფოტოარქივიდან შეირჩა 100 ფოტო 60 წლის აღსანიშნავად https://www.facebook.com/archivespublic/app/327443494321245/
თარგმნა-გახმოვანება-სუბტიტრების ჯგუფმა, 2016 წლის მეოთხე კვარტალში, გაახმოვანა მხატვრული, დოკუმენტური ფილმები, მხატვრული და ანიმაციური სერიალები. უკვე საბოლოო სახით, ანუ მასტერინგის ჩათვლით, ჯგუფმა გააკეთა 265 საათი. განხორციელდა მომავალი სეზონისთვის მრავალფეროვანი პროდუქციის შესყიდვა და მომდევნო თვეებში შესასყიდი მასალის შესწავლა და დახარისხება.
სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ დეკემბრის თვეში კომერციული რეკლამის განთავსების შეთავაზებები და საბარტერო წინადადებები არხის საახალწლო და 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისათვის; მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ, რეკლამებს, მაუწყებლის პირველ და მეორე და რადიო არხებზე;
ანალიტიკურმა ჯგუფმა ჩაატარა საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო ეთერში არჩევნები 2016–ის მონიტორინგი; ყველა საერთაშორისო პროექტზე (სპორტული ღონისძიებები, კონცერტები), 2016 წლის დასაწყისიდან დღემდე, მომზადდა და გაიგზავნა ანგარიში ევროპის მაუწყებელთა კავშირს; სისტემატიურად მიმდინარეობს გადაცემების მონიტორინგი და სარეიტინგო მონაცემთა დამუშავება.
ბრენდინგისა და კომუნიკაციის კუთხით განხორციელდა უამრავი მნიშვნელოვანი პროექტი თუ ღონისძიება, მათ შორის: პრეს კლუბის რებრენდინგი; ცენტრალური საახალწლო გადაცემა; „60 წელი „ (ტელევიზიის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით); „ წლის საუკეთესო"; „100 ფოტო არქივიდან"; ასევე, წინასაახალწლო შიდა თუ გარე აქტივობები.
საანგარიშო პერიოდში საქართველოს ტელერადიოცენტრმა აამუშავა ახალი გადამცემები სტეფანწმინდაში, ოზურგეთსა და დმანისში.რადიოს საინფორმაციო სამსახური, როგორც ინტეგრირებული ნიუსრუმის ნაწილი, განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. აქცენტი გაკეთდა საარჩევნო პროცესებისა და სუბიექტების პროგრამების გაშუქებაზე. საზოგადოებრივი რადიოს მუშაობა დადებითად შეაფასა მედიამონიტორინგმა (ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი, „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა").

## III. ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის კვარტალური ანგარიში

საანგარიშო პერიოდს დაემთხვა წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო კვირა, არჩევნების პირველი და მეორე ტური, ასევე განმეორებითი არჩევნები.

8 ოქტომბერს ***მოამბე*** უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა. ***მოამბის*** ობიექტივში მოხვდა მონაცემები ცესკო-დან, მედიაცენტრიდან, საარჩევნო უბნებიდან და სხვადასხვა პარტიების შტაბებიდან. განხორციელდა პირდაპირი ჩართვები და რეპორტაჟები თბილისიდან და ყველა რეგიონიდან, უცხოეთში განლაგებული საარჩევნო უბნებიდან. ხმის მიცემის პროცესის დასრულებისთანავე ***მოამბის*** მაყურებელმა მიიღო TNS Opinion-ის ეგზიტპოლების პირველი შედეგები. არჩევნების უწყვეტ გაშუქებას ***მოამბესთან*** ერთად ახორციელებდა პროგრამა ***საარჩევნო დილა საზოგადოებრივზე (08:00-12:00)*** და ***რეზო ჭიჭინაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ*** *(22:00-24:00).*

საინფორმაციო სამსახურმა პირველი ტურის მსგავსად მეორე ტურიც საგანგებო რეჟიმში გააშუქა. საღამოს ეთერში ***საზოგადოებრივმა*** არჩევნების შეჯამებას პირველი არხის, მეორე არხისა და აჭარის ტელევიზიის ერთობლივი პროექტი მიეძღვნა.

წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო კვირას, გაიმართა დებატები, რომელიც USAID-ისა და IFES-ის მხარდაჭერით განხორციელდა. ***დებატები - საპარლამენტო არჩევნები 2016*** წარმოადგენდა მულტიმედიურ პროექტს. მასში კვალიფიციური სუბიექტების პირველი ნომრები და ქალი ლიდერები მონაწილეობდნენ. გადაცემის ფორმატი და კითხვები წინასწარ იყო ცნობილი.

წარმატებული აღმოჩნდა აპლიკაცია „არჩევნები“. მისი მეშვეობით მომხმარებელს შეეძლო ოპერატიულად მიეღო არჩევნებთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ინფორმაცია.

უმნიშვნელოვანესი იყო პროექტის ***არჩევნები 2016*** გამჭვირვალობა. პროექტი თავიდანვე გაეცნო პოლიტიკურ სუბიექტებს და არასამთავრობო სექტორს. სუბიექტების მონაწილეობა პროგრამებში წინასწარ განსაზღვრული წესით დაიგეგმა. ჩატარდა წილისყრა.

***საზოგადოებრივმა*** საკონსულტაციო ჯგუფის INNOVATION დახმარებით, გააგრძელა სრულად ინტეგრირებული ნიუსრუმის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია. ახალი მოდელზე გადაეწყო ერთიანი დაგეგმარების პროცესი, რომელშიც მონაწილეობდნენ INNOVATION-ის კონსულტანტები.

***საზოგადოებრივმა*** ახალი ინტეგრირებული ნიუსრუმის მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა. ამავე დროს, ***საზოგადოებრივმა*** ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან მიიღო შეთავაზება, რომლის თანახმადაც ახალი კომპლექსის მშენებლობას ძველი ტერიტორიის მყიდველი ინვესტორი დააფინანსებდა. ახალი გარემოებების გათვალისწინებით, ნიუსრუმის მშენებლობის დაწყება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადაიდო.

# ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2016 წლის IV კვარტალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 703.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 859.0 ათასი ლარი, სულ 10 562.5 ათასი ლარი.

**ხელფასები**

2016 წლის IV კვარტალში შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 577.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 386.4 ათასი ლარი, სულ - 5 964.3 ათასი ლარი.

**მივლინებები**

2016 წლის IV კვარტალში მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან სულ შეადგინა 233.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 24.6 ათასი ლარი, სულ - 258.0 ათასი ლარი.

**სამეურვეო საბჭოს ხარჯები**

2016 წლის IV კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად დახარჯული იქნა 118.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 0.2 ათასი ლარი, სულ - 118.3 ათასი ლარი.

**მონიტორინგის საბჭოს ხარჯები**

2016 წლის IV კვარტალში მონიტორინგის საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯულ იქნა 23.0 ათასი ლარი.

**სხვა ადმინისტრაციული ხარჯები**

2016 წლის IV კვარტალში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 589.2 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა 505.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 84.1 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ელ. ენერგია - 150.5 ათასი ლარი;
- წყალი - 19.7 ათასი ლარი;
- დასუფთავება - 36.8 ათასი ლარი;
- საწვავი (ბენზინი,დიზელი) – 59.1ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა - 4.5 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის შეკეთება - სათადარიგო ნაწილები - 33.6 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) – 19.1 ათასი ლარი;
- სხვა სატელეფონო ხარჯები - 10.3 ათასი ლარი;
- საფოსტო მომსახურება - 0.3 ათასი ლარი;
- ინტერნეტის ხარჯი - 23.0 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯი (ჟალუზები) – 1.6 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები - 70.4 ათასი ლარი;

- სანოტარო სათარჯიმნო მომსახურება - 5.1 ათასი ლარი
- თანამშრომლთა დაზღვევის ხარჯი - 81.8 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 0.2 ათასი ლარი;
- სასამართლი/ბაჟი - 0.5 ათასი ლარი;
- ჟურნალ გაზეთები და წიგნების მოწ. – 5.5 ათასი ლარი
- სამშ. სარემონტო სამუშაოები - 23.8 ათასი ლარი;
- სხვა  ხარჯები - 43.4 ათასი ლარი.

## მარკეტინგის ხარჯები

2016 წლის IV კვარტალში  მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 135.9 ათასი ლარი შეადგინა.  საბიუჯეტო  სახსრებიდან დახარჯულ იქნა - 129.4 ათასი ლარი,  ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 6.5 ათასი ლარი.

- სოციალური კვლევები - 37.8 ათასი ლარი;
- ბრენდირება - 6.2 ათასი ლარი;
- გარე რეკლამა - 88.4 ათასი ლარი;
- სხვა მარკეტინგის ხარჯები - 3.5 ათასი ლარი;

## პროდიუსინგის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2016 წლის IV კვარტალში  სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 1 527.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 202.8 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1 730.4 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 91.1 ათასი ლარი;
- სპორტული გადაცემებისა და ჩემპიონატის ჩვენების უფლებები - 464.9 ათასი ლარი;
- უცხოური ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 844.1 ათასი ლარი;
- ევროვიზიის ჩვენებასთან დაკავშირებული ხარჯები - 18.1 ათასი ლარი;
- გადაცემების მომზადების ხარჯები - 211.4 ათასი ლარი
- ვიზუალური მომსახურება - 6.4 ათასი ლარი
- დეკორაციები - 40.1ათასი ლარი
- ქართული ფილმები - 19.5 ათასი ლარი
- წლის საუკეთესო - 28.5 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საპროდიუსინგო ხარჯები -  6.3 ათასი ლარი;

## საინფორმაციო სამსახურის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2016 წლის IV კვარტალში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 153.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 123.8 ათასი ლარი. სულ მიიმართა  - 277.0 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები - 102.7  ათასი ლარი;
- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 50.5 ათასი ლარი;
- დეკორაციების ხარჯი - 5.6 ათასი ლარი
- საკონსულტაცო მომსახურების ხარჯი - 118.2 ათასი ლარი

- სხვა დანარჩენი საინფორმაციო ხარჯები - 0 ათასი ლარი.

**ტექნიკის ხარჯები**

მაუწყებლის მიერ 2016 წლის IV კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 1 009.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 9.6 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1019.1 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 360.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება 286.6 ათასი ლარი;
- ვებ მაუწყებლობა და სტრიმინგი - 56.0 ათასი ლარი;
- მოძრავი სატელიტური სადგურის-ის ქირავნობა - 157.8 ათასი ლარი;
- კომპიუტერები/სათად. ნაწილები 13.8 - ათასი ლარი;
- კამერები და კამერის აქსესუარები - 20.3 ათასი ლარი;
- საოფისე ტექნიკა - 76.8 ათასი ლარი
- აუდიო ვიდეო ტექ. სათადარიგო ნაწილებინ - 10.5 ათასი ლარი
- პროგრამული უზრუნველყოფა - 10.8 ათასი ლარი
- სხვა ტექნიკური ხარჯები - 26.5 ათასი ლარი.

**სხვა გადასახდელები**

2016 წლის IV კვარტალში მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 426.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 21.0 ათასი ლარი. სულ დახარჯულ იქნა - 447.1 ათასი ლარი.

მათ შორის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- მომსახურებაზე გადახდილი დღგ / უკუდაბეგვრის დღგ - 362.1 ათასი ლარი;
- საავტორო უფლებები - 49.0 ათასი ლარი.
- მიწის გადასახადი - 16.7 ათასი ლარი
- სხვა გადასახდელები - 19.3 ათასი ლარი

**ინფორმაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის IV კვ-ში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ**

`(თანხები მოცემულია ლარებში)

| # | დასახელება | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შრომის ანაზღაურება | 1,820,296 | 1,856,470 | 1,892,180.78 | 5,568,947 |
| 2 | პრემია | | | | - |
| 3 | სოციალური უზრუნველყოფა | 7,482 | 1,186 | 341.55 | 9,010 |
| 4 | მივლინებები | 80,128 | 91,211 | 62,041.00 | 233,380 |
| 5 | სამეურვეო საბჭო | 35,866 | 27,400 | 54,800.00 | 118,066 |
| 5.1 | ჰონორარები | 27,400 | 27,400 | 54,800.00 | 109,600 |
| 5.2 | სხვა ხარჯები | 8,466 | | | 8,466 |
| 6 | მონიტორინგის საბჭო | 7,680 | 7,680 | 7,680.00 | 23,040 |
| 6.1 | ჰონორარები | 7,680 | 7,680 | 7,680.00 | 23,040 |
| 7 | ადმინისტრაციული | 148,249 | 135,603 | 221,241.36 | 505,093 |
| 7.1 | კომუნალური ხარჯები | 37,874 | 38,274 | 48,879.87 | 125,029 |
| 7.1.1 | წყალი | 5,197 | 5,700 | 8,760.84 | 19,658 |
| 7.1.2 | დენი | 31,778 | 31,415 | 36,786.88 | 99,979 |
| 7.1.3 | გაზი | | 260 | 1,532.25 | 1,792 |
| 7.1.4 | სხვა (დასუფთავება/სანიტარული) | 900 | 900 | 1,799.90 | 3,600 |
| 7.2 | შენობის დასუფთავება | 8,199 | 8,199 | 16,398.00 | 32,796 |
| 7.2.1 | ი/მ, ალექსანდრე ასანიძე | 8,199 | 8,199 | 16,398.00 | 32,796 |
| 7.3 | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | | - |
| 7.4 | ჟურნალ-გაზ. და წიგნების მიწ. | 1,298 | 1,300 | 2,913.48 | 5,512 |
| 7.4.1 | შპს "ინფოსერვისი' | 120 | 120 | 240.00 | 480 |
| 7.4.2 | შპს "ელვა.ჯი' | 1,178 | 1,180 | 2,673.48 | 5,032 |
| 7.5 | ტრანსპორტი | 31,494 | 36,754 | 28,949.56 | 97,197 |
| 7.5.1 | ტრანსპორტის შეკეთება (მომსახურება) | 11,603 | 14,950 | 7,015.30 | 33,569 |
| 7.5.1.1 | შპს რენო + | 4,611 | 5,744 | | 10,355 |
| 7.5.1.2 | ბიზნეს ჯგუფი 2010 სენა მოტორსი კია მოტორს | 6,489 | 7,825 | 7,015.30 | 21,329 |
| 7.5.1.3 | R - მოტორსი | | | | - |
| | GT-Motors | 504 | 1,381 | | 1,884 |
| 7.5.2 | სათარიგო ნაწილები | - | - | - | - |
| 7.5.2.1 | თეგეტა ჯეო თაირს Geo Tires | | | | - |
| 7.5.2.2. | Type II | | | | - |
| 7.5.3 | ავტოტრანსპორტის დაზღვევა | 1,293 | 1,330 | 1,896.03 | 4,519 |
| 7.5.3.1 | ალფა | 1,293 | 1,330 | 1,896.03 | 4,519 |
| 7.5.3.2 | ქართუ | | | | - |
| 7.5.4 | საწვავ-საპოხი მასალები | 18,598 | 20,474 | 20,038.23 | 59,110 |
| 7.5.4.1 | ბენზინი | 16,044 | 17,315 | 15,848.90 | 49,208 |
| 7.5.4.2 | დიზელი | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 2,554 | 3,159 | 4,189.33 | **9,902** |
| 7.5.4.3 | ზეთი | | | | - |
| 7.5.5 | ავტოპარკის განახლება | - | - | - | - |
| 7.5.5.1 | ახალი მანქანების შეძენის ხარჯი | | | | - |
| 7.5.5.2 | "სიტი -პარკი" | | | | - |
| **7.6** | **კავშირგაბმულობა** | **15,043** | **14,330** | **22,896.47** | **52,269** |
| 7.6.1 | მობილურების ხარჯი | 6,819 | 6,016 | 6,224.31 | **19,059** |
| 7.6.1.1 | მაგთიკომი | 6,819 | 6,016 | 6,224.31 | **19,059** |
| 7.6.2. | სატელეფონო საუბრები | 1,902 | 1,993 | 4,477.36 | **8,373** |
| 7.6.2.1 | სს "სილქნეტი" | 1,902 | 1,993 | 4,477.36 | **8,373** |
| 7.6.3 | ინტერნეტი | 5,750 | 5,750 | 11,461.30 | **22,961** |
| 7.6.3.1 | სს "სილქნეტი" | 5,650 | 5,650 | 11,300.00 | **22,600** |
| 7.6.3.2 | შპს "კავკასუს ონლაინი" | 100 | 100 | 161.30 | **361** |
| 7.6.3.3 | სს "სილქნეტი" | | | | - |
| 7.6.4 | კავშირგაბმულობა (სხვადასხვა) | 572 | 571 | 733.50 | **1,877** |
| 7.6.4.1 | 112-ის მომსახურება | 572 | 571 | 733.50 | **1,877** |
| 7.6.4.2 | Type II | | | | - |
| **7.7** | **შენობა-ნაგებობების დაცვა** | **17,600** | **17,600** | **35,200.00** | **70,400** |
| 7.7.1 | დაცვის ხარჯი (თბილისი) | 17,600 | 17,600 | 35,200.00 | **70,400** |
| **7.8** | **საფოსტო მომსახურება** | **70** | **142** | **93.72** | **306** |
| 7.8.1 | შპს "საქართველოს ფოსტა" | 70 | 142 | 93.72 | **306** |
| 7.8.2 | შპს "არამექსი" | | | | - |
| **7.9** | **საკანცელარიო საქონელი** | | | | - |
| **7.10** | **მცირეფასიანი საოფისე ტექნიკა** | - | **990** | **571.00** | **1,561** |
| 7.10.1 | კომპ. ტექნიკა და აქსექს. (<500ლ) | | | | - |
| 7.10.2 | კარტრიჯები, საბეჭდი მასალები | | 990 | 571.00 | **1,561** |
| **7.11** | **ოფისის სხვა ხარჯები (ჟალუზი,სავარძ, სხვა)** | | | | - |
| **7.12** | **იჯარა** | - | - | - | - |
| 7.12.1 | საოფისე ფართის ქინავნობა | | | | - |
| 7.12.2 | სხვა იჯარა (ადმინ.) | | | | - |
| **7.13** | **უძრავი ქონების დაზღვევა** | | | | - |
| **7.14** | **სამშ -სარემონტო სამუშაოები** | | **14,489** | **9,298.95** | **23,788** |
| **7.15** | **აუდიტორული და საექსპერტო მომს.** | | | | - |
| **7.16** | **საარქივო მომსახურება** | - | **499** | - | **499** |
| 7.16.1 | წიგნების აკინძვა "ტატიანა ყელაურიძე" | | 499 | | **499** |
| **7.17** | **სანოტარო, საკონსულტაციო, სათარჯიმნო მომს.** | **4,850** | - | - | **4,850** |
| 7.17.1 | სანოტარო და საკონსულტაციო მომსახურება | 4,850 | | | **4,850** |
| 7.17.2 | სათარჯიმნო მომსახურება | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | - |
| 7.18 | **სასამართლო ბაჟი** | | | | - |
| 7.19 | **თანამშრომელთა დაზღვევის** | 27,159 | | 54,677.81 | 81,837 |
| 7.20 | **საწყობის მოწყობა** | | | | - |
| 7.21 | **სხვა ხარჯები** (მათ შორის სატენდ.) | 4,661 | 3,025 | 1,362.50 | 9,049 |
| 8 | **მარკეტინგი და გაყიდვები** | 9,459 | 14,965 | 105,021.51 | 129,446 |
| 8.1 | PR | - | 5,506 | 86,103.51 | 91,610 |
| 8.1.1 | ბრენდირება | | | | - |
| 8.1.2 | სასაჩუქრე პაკეტები | | | 3,250.00 | 3,250 |
| 8.1.3 | სხვა ღონისძიებები | | 5,506 | 82,853.51 | 88,360 |
| 8.2 | **სოციალური კვლევები** | 9,459 | 9,459 | 18,918.00 | 37,836 |
| 8.2.1 | თვისობრივი კვლევა (ფიფლმეტრი) | 9,459 | 9,459 | 18,918.00 | 37,836 |
| 8.2.2 | სატელეფონო კვლევა | | | | - |
| 8.2.3 | რაოდენობრივი კვლევა - ბაზრის სეგმენტაცია | | | | - |
| 9 | **საინფორმაციო** | 70,434 | 17,574 | 65,197.32 | 153,205 |
| 9.1 | **სიგნალის გადმოგორება** | 39,034 | 15,378 | 48,305.72 | 102,719 |
| 9.1.1 | სიგნალის გადმოგორება (EBU) | 39,034 | 15,378 | 48,305.72 | 102,719 |
| 9.1.2 | სიგნალის გადმოგორება (სხვა ორგანიზაციები) | | | | - |
| 9.2 | **საკონსულტაციო ხარჯი** | | | | - |
| 9.3 | **ინფორმაციის მოწოდება** | 31,400 | 2,195.80 | 16,891.60 | 50,487 |
| 9.3.1 | შპს "ჯეოპოტნიუსი' | 590 | 590.00 | 1,180.00 | 2,360 |
| 9.3.2 | შპს "ახალი ამბები" (ინტერპრესნიუსი) | 520 | 520.00 | 1,040.00 | 2,080 |
| 9.3.3 | შპს "მედიანიუსი" | 180 | 180.00 | 360.00 | 720 |
| 9.3.4 | შპს ახალი ამბების სააგენტო "კავკასპრესი" | 206 | 205.80 | 411.60 | 823 |
| 9.3.5 | შპს "პირველი' | 450 | 450.00 | 900.00 | 1,800 |
| 9.3.6 | საქართველოს მედია ჰოლდინგი | 250 | 250.00 | 500.00 | 1,000 |
| 9.3.7 | რადიო თავისუფალი ევროპა (გად. მომზ.) | | | 12,500.00 | 12,500 |
| 9.3.8 | 'REUTERS TELEVISION LTD' | 29,204 | | | 29,204 |
| 10 | **პროდიუსინგი** | 244,734 | 234,262 | 1,048,624.24 | 1,527,621 |
| 10.1 | **სიგნალის გადმოგორება** | 5,186 | 47,305 | 38,592.81 | 91,083 |
| 10.1.1 | სააღდგომო | | | | - |
| 10.1.2 | ჩემპიონთა ლიგა 2015 | | | | - |
| 10.1.3 | 2015 ჩემპიონთა ლიგის დღიური | | 11,780 | | 11,780 |
| 10.1.5 | სხვა სპორტი: | 5,186 | 35,525 | 38,592.81 | 79,304 |
| 10.1.5.1 | ფეხბურთის ამხანაგური მატჩები | | | 19,343.70 | 19,344 |
| 10.1.5.4 | ჭიდაობა/ძიუდო/წყალბურთი | | | 13,500.00 | 13,500 |
| 10.1.5.5 | რაგბის ტესტ მატჩი/ერთა თასი | | 30,109 | | 30,109 |
| 10.1.5.6 | ინფორმაციის მოწოდება SNTV | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 5,186 | 5,416 | 5,749.11 | **16,351** |
| **10.2** | **ლიცენზიები** | **19,988** | **24,294** | **321,115.06** | **365,397** |
| 10.2.1 | 2016/2017 წლის ჩემპიონთა ლიგა | 19,988 | 24,294 | 41,880.15 | **86,162** |
| 10.2.2 | 2016 წლის ოლიმპიადა (sportfive) | | | | **-** |
| 10.2.3 | ევრო/მსოფლიო 2016-2018 საკვალიფ. | | | 15,425.54 | **15,426** |
| 10.2.4 | 2016-2018 საკვალიფ. ჰაილაითის პროგრამა | | | | **-** |
| 10.2.5 | კალათბურთი- ევრო ბასკეტი | | | | **-** |
| 10.2.6 | რაგბის მსოფლიო ჩემპიონატი | | | | **-** |
| 10.2.7 | 2018 წლის მსოფ. ჩემპიონატი | | | | **-** |
| 10.2.8 | The Five other events -კონფედერაცისს თასი | | | | **-** |
| 10.2.9 | ევრო თასების ფეხბურთი | | | 263,809.37 | **263,809** |
| 10.2.10 | რაგბის ერთა თასი | | | | **-** |
| 10.2.11 | 2016 წლის ევროპის ჩემპიონატი | | | | **-** |
| **10.3** | **ქართული ფილმები** | **11,900** | **-** | **-** | **11,900** |
| 10.3.1 | ქართული ფილმების შექმნა | 11,900 | - | | **11,900** |
| 10.3.2 | კინოპროექტი | | | | **-** |
| **10.4** | **მიმდინარე გადაცემები** | **31,518** | **96,925** | **2,789.94** | **131,233** |
| **10.5** | **ვიზუალური მომსახურება** | **3,051** | **3,307** | **-** | **6,358** |
| 10.5.1 | საპარიკმახერო | | | | **-** |
| 10.5.2 | კოსმეტიკა | | | | **-** |
| 10.5.3 | კოსტიუმები / რეკვიზიტები | 3,051 | 3,307 | | **6,358** |
| 10.5.4 | სარეცხი საშუალებები | | | | **-** |
| **10.6** | **ეთერის ყიდვა (რეგიონალური მაუწყებლები)** | **1,000** | **1,000** | **2,000.00** | **4,000** |
| 10.6.1 | ბოლნისი | | | | **-** |
| 10.6.2 | ახალქალაქი | | | | **-** |
| 10.6.3 | ნინოწმინდა | | | | **-** |
| 10.6.4 | ზუგდიდი | 1,000 | 1,000 | 2,000.00 | **4,000** |
| **10.7** | **უცხოური ფილმები** | **166,975** | **49,419** | **627,738.43** | **844,133** |
| 10.7.1 | სერიალები | 166,975 | | 627,738.43 | **794,714** |
| 10.7.2 | ანიმაცია | | 49,419 | | **49,419** |
| 10.7.3 | კინო | | | | **-** |
| 10.7.4 | დოკუმენტური ფილმები | | | | **-** |
| **10.8** | **ევროვიზია (დიდების)** | | | | **-** |
| **10.9** | **ევროვიზია (პატარების)** | **5,116** | **12,012** | | **17,128** |
| **10.10** | **ახალი სეზონისა და ახალი წლის ხარჯი** | | | **28,500.00** | **28,500** |
| **10.11** | **REUTERS TELEVISION LTD' საარქივო მასალის შესყიდვა** | | | | **-** |
| **10.12** | **გადაცემებისთვის ფორმატების ლიცენზიის შესყიდვა** | | | | **-** |
| **10.13** | **დეკორაციები** | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 27,888.00 | 27,888 |
| 11 | ტექნიკური | 285,790 | 237,166 | 486,569.56 | 1,009,526 |
| 11.1 | ვებმაუწყებლობა და სტრიმინგი | 14,000 | 14,000 | 28,000.00 | 56,000 |
| 11.1.1 | TULIX SISTEMS,inc | 14,000 | 14,000 | 28,000.00 | 56,000 |
| 11.2 | კასეტების დისკების და ელემენტების შეძენა | | 2,100 | | 2,100 |
| 11.3 | ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) | 90,000 | 90,000 | 180,000.00 | 360,000 |
| 11.4 | სატელიტის მომსახურება | 138,688 | 55,720 | 92,154.75 | 286,563 |
| 11.4.1 | AZERCOSMOS & TURKSAT | 126,181 | 33,275 | 72,148.04 | 231,604 |
| 11.4.2 | სხვა სატელიტური სეგმენტით მომსახურება | 12,507 | 22,446 | 20,006.71 | 54,959 |
| 11.5 | სატელეფონო კანალიზაციის ჭებში კაბელების გატარების იჯარა | 1,634 | 1,634 | 3,267.60 | 6,535 |
| 11.6 | სტუდიების სპეც. განათება | - | - | - | - |
| 11.6.1 | განათება (სტუდიური) | | | | - |
| 11.6.2 | გარე განთება | | | | - |
| 11.6.3 | საკონცერტო განათების შესყიდვა | | | | - |
| 11.7 | ნათურები, ფილტრები | | | | - |
| 11.8 | სერვერ რუმის მოწყობა | - | - | - | - |
| 11.8.1 | სამშენებლო სამუშაოები | | | | - |
| 11.8.2 | პრეციზიული გაგრილების ბლოკი | | | | - |
| 11.9 | ელექტრო მასალები | | | | - |
| 11.10 | ცენტრალური სააპარატოს შეცვლა | | | | - |
| 11.11 | ქუთაისისისა და პიკის ტექნიკის ინსტალაციის თანხა | | | | - |
| 11.12 | ვიდეო მიქშერები და პლაზმა | | | | - |
| 11.13 | მობილური ჩართვის აპარატის შესყიდვა | | | | - |
| 11.14 | საოფისე ტექნიკა (>500ლ) | - | 57,244 | 19,595.00 | 76,839 |
| 11.14.1 | კომპიუტერები | | 57,244 | 19,595.00 | 76,839 |
| 11.15 | კონდენციონერების შეკეთება/შეძენა | | | | - |
| 11.16 | ნიუსრუმი-საინფომრაციო სამსახური(არქივი) | - | - | - | - |
| 11.16.1 | კომპიუტერული ტექნიკის შეძენა | | | | - |
| 11.16.2 | კომპ. ტექნიკის გაუმჯობესება/მოდერნიზაცია | | | | - |
| 11.16.3 | ნიუსრუმის სისტემა და სერვერები | | | | - |
| 11.17 | რადიოს ტექნიკის შეძენა-მოდერნიზაცია | | | | - |
| 11.18 | სარელეო ხაზებით მომსახურება | | | | - |
| 11.19 | პროგრამული უზრუნველყოფა ("კიბერნეტიჩესკი") | 5,140 | | 5,662.37 | 10,802 |
| 11.20 | ლიცენზირებული ანტივირუსული სისტემა | | | | - |
| 11.21 | საკომუნიკაციო არხების ქირავნობა | - | - | - | - |
| 11.21.1 | თბილისი | | | | - |
| 11.22 | სტუდიური აუდიო მოწყობილობები, მიკროფონები და აქსესუარები | 4,649 | | | 4,649 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.23 | ვიდეო აუდიო ტექნიკა და სათადარიგო ნაწილები | 8,734 | 1,766 | | 10,500 |
| 11.24 | კამერები და კამერის აქსესუარბი | | | 20,300.00 | 20,300 |
| 11.25 | საფრენი აპარატის შეძენა (დრონი) | | | | - |
| 11.26 | კამერის ვაიერლეს სისტემის შეძენა | | | | - |
| 11.27 | საკაბელო არხების შეძენა | | | | - |
| 11.28 | კომპიუტერულის სათადარიგო ნაწილების შეძენა | | 13,800 | | 13,800 |
| 11.29 | გახმოვანების შიდა წარმოების მოწყობა | | | | - |
| 11.30 | საინჟინრო განყოფილება | | | | - |
| 11.31 | ლიფტის შეძენა/მონტაჟი | | | | - |
| 11.32 | დაცვის სისტემების შეძენა მონტაჟი | | | | - |
| 11.33 | GPS ოპერატორი | 902 | 902 | 1,804.00 | 3,608 |
| 11.34 | PTS -ს იჯარა | 22,044 | | 135,785.84 | 157,830 |
| 11.35 | EBU-ს ახალი ამბების & რადიოს ქსელის შექმნის პროექტი | | | | - |
| 11.36 | თანამშ. რეგისტრაციის სისტემა "ტურნიკედი" | | | | - |
| 11.37 | პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება საკომუნიკაციო | | | | - |
| 12 | გადასახდელების დაფარვა | 123,419 | 154,051 | 148,679.76 | 426,149 |
| 12.1 | სახელმწიფო სესხი | - | - | - | - |
| 12.1.1 | ძირი | | | | - |
| 12.1.2 | საურავი | | | | - |
| 12.2 | (EBU) 2016 წლის საწევროს ხარჯი | - | - | - | - |
| 12.2.1 | EBU | | | | - |
| 12.2.2 | სხვა ორგანიზაციები | | | | - |
| 12.3 | უკუდაბეგვრის დღგ | | | | - |
| 12.4 | დღგ | 106,966 | 130,000 | 123,421.59 | 360,387 |
| 12.5 | ქონების გადასახადი | | | | - |
| 12.6 | მიწის გადასახადი | | 16,714 | | 16,714 |
| 12.7 | მოგების გადასახადი | | | | - |
| 12.9 | სხვა გადასახდელები | | | | - |
| 12.10 | საგადასახადო დავალიანება | | | | - |
| 12.11 | კრედიტორული დავალიანებები | | | | - |
| 12.12 | საავტორო უფლებები | 16,453 | 7,337 | 25,258.17 | 49,048 |
| 12.13 | ბანკის სესხი | | | | - |
| 12.14 | სხვა მიმდინარე დავალიანება | | | | - |
| 12.15 | ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ვიზიტის გაშუქება | | | | - |
| 12.16 | 26 მაისის ღონისძიება | | | | - |
| | სულ | 2,833,537 | 2,777,568 | 4,092,377.08 | 9,703,482 |

`

**ინფორმაცია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ I V კვარტალში ეკონომიკური საქმინობიდან მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ**

საანგარიშო პერიოდი: 2016 წელი

ვალუტა: ლარი

| *შემოსავლები* | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ 2016 |
|---|---|---|---|---|
| სარეკლამო შემოსავლები | 100,083 | 224,501 | 74,507 | **399,092** |
| იჯარიდან შემოსავალი | 32,025 | 37,423 | 47,789 | **117,236** |
| ტექნიკის გაქირავება | 4,172 | 3,797 | 18,471 | **26,440** |
| სხვადასხვა შემოსავალი | 54,100 | 59,023 | 69,762 | **182,886** |
| **ჯამი:** | **190,381** | **324,744** | **210,529** | **725,654** |

| *ხარჯები* | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ 2016 |
|---|---|---|---|---|
| *სამეურვეო საბჭო* | 83 | 83 | 83 | **248** |
| *მონიტორინგი* | - | - | | **-** |
| *ადმინისტრაციული* | 14,066 | 34,268 | 67,922 | **116,255** |
| *მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი* | 6,634 | 3,531 | 128,707 | **138,872** |
| *საინფორმაციო* | 26,356 | 143,694 | 80,288 | **250,338** |
| *მედიაწარმოების ბლოკი* | 26,272 | 17,701 | 165,253 | **209,227** |
| *ტექნიკური* | 1,258 | 116,121 | 5,661 | **123,041** |
| *სხვა გადასახდელები* | 5,753 | 5,134 | 9,828 | **20,715** |
| **ჯამი:** | **80,421** | **320,532** | **457,742** | **858,696** |

# წარმოების და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი

1. პირველი არხის გამომშვებ სააპარატოში დამონტაჟდა „Ewertz“-ის წარმოების მულტიფორმატული ვიდეო კონვერტერ-სინქრონიზატორი,რათა პირველი არხისმაღალი გარჩევადობის HD სატელევიზიო პროგრამაზე დაგვედო ტიტრები.
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ სართულზე არსებული მეორე არხის მე-6 სტუდიის სარეჟისორო სააპარატოში დაზიანდა ”მირანდას“ წარმოების მულტიეკრანული მოწყობილობა (მულტივიუვერი), რომლის აღდგენა საკუთარი ძალებით არ მოხერხდა.იგი შეიცვალა „Ewertz“-ის წარმოების მულტივიუვერით.
3. ცენრალური სააპარატოში„Ewertz“-ის წარმოების მატრიცაში დაზიანდავიდეო სიგნალების გამოსასვლელიHDx32 პლატა, იგი შეიცვალა სასერვერო სააპარატოში დამონტაჟებულიEwertz“-ის წარმოების მატრიციდან, (სამწუხაროდ თანხის უქონლობის გამო ამ პლატის შეძენა 2016 წელს ვერ მოხერხდა).
4. მოძრავ სატელევიზიო სადგურის „სლომო-დომონატორ-HD”გამეორების მოწყობილობაში შეიცვალა დაზიანებული “HDD” ჰარდ-დისკები და ამ დისკების დედა პლატასთან შემაერთებელი კაბელები.
5. „ც“ სტუდიაში საკუთარი ძალებით გარემონტდა დაზიანებული „egripment“ -ის წარმოების სატელევიზიო „კრანი“, რომელსაც ვერტიკალურ სიბტყეში მოძრაობის პლატა ქონდა დაზიანებული.
6. სარემონტო ჯგუფის მიერ შეკეთდა და დარეგულირდა DV CAM ფორმატისხუთიმაგნიტოფონი, პირველი სტუდიისLCD ხედვის მძებნელი, „ც“ სტუდიის LCDმონიტორები- 2ცალი, კამერის ტრიაქსიალური კაბელი. ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ტარდებოდა ვიდეო კამერების, ხელის და სამკერდე-„პეტლიჩკა“ რადიო მიკროფონების, ვიდეოკამერის შტატივების, „ფლეშ-ბეკების“, აკუმულატორებისდა შემაერთებელი კაბელების მექანიკური და ელექტრული დაზიანებების რემონტი.
7. მოამბის სტუდიაში გარემონტდა დაზიანებული viewsonic-ის პროექტორი,მასში განთავსდა სხვა მოდელის პროექტორის ნათურა.

## ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

2016 წლის მეოთხე კვარტალში შესრულებული იქნა შემდეგი სახის ყოველდღიური სამუშაოები:

- თანამშრომლების მიღება;
- თანამშრომლების გათავისუფლება;
- თანამშრომლების როტაცია/გადაადგილება;
- შრომითი ხელშეკრულებების ვადების კონტროლი და საჭიროებისამებრ მათი გაგრძელება;
- თანამშრომლებისთვის შვებულების ბარათების გაფორმება;
- სხვადასხვა ტიპის ბრძანებების გამოცემა;
- ახალი სადაზღვეო ბარათების დარიგება;
- რეგულარული პროცესების შესრულება დაზღვევის ბაზის დაკორექტირებასთან დაკავშირებით;
- სადაზღვევო მონაცემების ყოველთვიური გაგზავნა ბუღალტერიისთვის, სადაზღვევო კომპანიისთვის და ჯანდაცვის სამინისტროსთვის;
- თანამშრომელთა მონაცემების გადაგზავნა ბანკისთვის;
- საშვების დამზადებისთვის მონაცემების განახლება /გადაგზავნა და სურათების მიწოდება;
- საშვების ბაზაში ცვლილებების ასახვა (ბარათის გააქტიურება/შექმნა, დაბლოკვა/წაშლა);
- დოკუმენტების ელექტრონული ვერსიის წარმოება;
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მონაცემების დამუშავება და შემოსულ წერილებზე საპასუხო წერილის მომზადება;
- დღიური ხელშეკრულებების გაფორმება;
- ცნობების დამზადება და გაცემა როგორც სახელფასო, საელჩოში წარსადგენი, ისე სტაჟის შესახებ (ქართულ და ინგლისურ ენებზე):
  - დამზადდა 195 და გაიცა 188 ცნობა

2016 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელებულია ადმინისტრირებული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემები:

| | |
|---|---|
| **2016 წლის ოქტომბრის მდგომარეობით** | |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 1134 |
| შეთავსებული სამუშაოს რაოდენობა | 75 |
| დანამატით ანაზღაურებული სამუშაოს რაოდენობა | 21 |
| მიღებული თანამშრომლების რაოდენობა | 19 |
| გათავისუფლებული თანამშრომელბის რაოდენობა | 11 |
| დეკრეტული შვებულების რაოდენობა | 7 |
| სტაჟიორთა რაოდენობა | 0 |
| დაზღვეულთა რაოდენობა | 1099 |
| **2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით** | |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 1136 |
| შეთავსებული სამუშაოს რაოდენობა | 74 |
| დანამატით ანაზღაურებული სამუშაოს რაოდენობა | 21 |
| მიღებული თანამშრომლების რაოდენობა | 12 |
| გათავისუფლებული თანამშრომლების რაოდენობა | 8 |
| დეკრეტული შვებულების რაოდენობა | 7 |
| სტაჟიორთა რაოდენობა | 0 |
| დაზღვეულთა რაოდენობა | 1106 |

| 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით | |
|---|---|
| დასაქმებულთა რაოდენობა | 1138 |
| შეთავსებული სამუშაოს რაოდენობა | 85 |
| დანამატით ანაზღაურებული სამუშაოს რაოდენობა | 21 |
| მიღებული თანამშრომლების რაოდენობა | 6 |
| გათავისუფლებული თანამშრომლების რაოდენობა | 4 |
| დეკრეტული შვებულების რაოდენობა | 9 |
| სტაჟიორთა რაოდენობა | 4 |
| დაზღვეულთა რაოდენობა | 1106 |

ადამიანური რესურსების მართვის დამატებითი საქმიანობა

- რებრენდინგის ფარგლებში შეიცვალა თანამშრომლების საშვები (ე.წ. ID ბარათები);
- სამუშაო აღწერილობების გადახედვა, კორექტირება ბლოკების მიხედვით. სამუშაო აღწერილობებზე თანამშრომლების ხელმოწერების კოორდინირება. ახალ თანამდებობებზე ახალი სამუშაო აღწერილობების შექმნა. თანამშრომლების შეხედულებისამებრ (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უშუალო უფროსთან შეთანხმებით) სამუშაო აღწერილობებში ცვლილებების შეტანა;
- სამუშაო აღწერილობების დამტკიცებასთან დაკავშირებით ბრძანების მომზადება.
  ორი ბლოკის: მედიისა და კომუინიკაციის ბლოკისა და ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკის სამუშაო აღწერილობების დამტკიცება;
- განხორციელდა პერსონალის შერჩევა-დაქირავების პოლიტიკის გაწერა და არსებულ პროცედურებში შევიდა გარკვეული ცვლილებები. დოკუმენტი წარდგენილი იქნა დასამტკიცებლად;
- შემუშავდა ახალი ფორმები/დოკუმენტები პერსონალის შერჩევა-დაქირავების პროცესის უზრუნველსაყოფად. განახლებული ფორმები წარდგენილი იქნა დასამტკიცებლად;
- „საკადრო პოლიტიკის" დოკუმენტთან დაკავშირებით სსიპ „საოზგადოებრივი მაუწყებლის" პროფკავშირებთან და თანამშრომლებთან შეხვედრების ორგანიზება და დოკუემნტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე აქტიური კომუნიკაცია/განხილვა;
- განხორციელდა „ხარისხის მართვის" საბჭოს ამოქმედება და შესაბამისად, შეხვედრების ორგანიზება;
- შრომითი უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ორგანიზება გაეწია შეხვედრებს ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე მომზადდა დიდი მოცულობის დოკუმენტები. ასევე, მათი მოთხოვნის შესაბამისად ანალიზი ჩაუტარდა სტატისტიკურ მონაცემებს;
- განხორციელდა ჯანმრთელობის დაზღვევის სატენდერო წინადადების განხილვა და რეკომენდაციების წარდგენა;
- ტელევიზიის 60 წლისთავთან დაკავშირებით მომზადდა იმ თანამშრომლების სია, რომლებიც ხანგრძლივად მუშაობენ/მუშაობდნენ ტელევიზიაში;
- განხორციელდა წინა საახალწლო მოსამზადებელ საქმიანობაში მონაწილეობა;
- განხორციელდა ინვენტარიზაციის პროცესში თანამონაწილეობა;
- შემუშავდა ორგანიზაციის შიდა საკომუნიკაციო წესი;
- მე-4 კვარტლის ანგარიშის მომზადება ბუღალტერიისთვის (მონაცემები შრომის შესახებ-საქსტატი)

- პერსონალის შერჩევა :
  - გამოცხადდა შიდა ვაკანსია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუსთვის „ყველა კითხვა" მკვლევარ-რედაქტორი (ე.წ. რისერჩი) და კორეპონდენტის თანამდებიობაზე. ვაკანსია განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gpb.ge და შიდა საკომუნიკაციო გვერდებზე, ასევე დაიგზავნა ელ.ფოსტის საშუალებით;

- გამოცხადდა ვაკანსია თოქ-შოუსთვის „რეალური სივრცე“ რეგიონალური კორესპონდენტის თანამდებიობაზე. ვაკანსია განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gpb.ge და შიდა საკომუნიკაციო გვერდებზე, დასაქმების პორტალებზე www.hr.ge და www.jobs.ge;
- გამოცხადდა ვაკანსია შიდა აუდიტის სპეციალისტის თანამდებობაზე. ვაკანსია განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gpb.ge და შიდა საკომუნიკაციო გვერდებზე, დასაქმების პორტალებზე www.hr.ge და www.jobs.ge;
- დამტკიცდა დოკუმენტი: „სტაჟირების პროგრამა საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შესაბამისად გამოცხადდა სტაჟიორების მიღება შემდეგ გადაცემებში: „კაცების დრო“, „შაბათს საღამოს ლიზასთან ერთად“, “C სტუდია“, „სიტყვების თამაში“, „წიგნების თარო. ვაკანსია განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gpb.ge და შიდა საკომუნიკაციო გვერდებზე, დასაქმების პორტალებზე www.hr.ge და www.jobs.ge.
- გამოცხადდა ვაკანსია მემონტაჟე გრაფიკოსის და სისტემური ადმინისტრატორის ვაკანსიაზე. ვაკანსია განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gpb.ge და შიდა საკომუნიკაციო გვერდებზე, დასაქმების პორტალებზე www.hr.ge და www.jobs.ge.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში არსებული გამოწვევები:

- შეზღუდული დროითი რესურსი;
- შეღუდული შრომითი რესურსი;
- შეზღუდული პროგრამული უზრუნველყოფა; არასათანადო/არასაკმარისი ტექნოლოგიური მხარდაჭერა;
- სხვა სამსახურების არასათანადო ჩართულობა;
- არსებული პროცესების არასწორად/არადროულად მართვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის და მათ მიერ;

# იურიდიული სამსახურის ანგარიში

***1. ხელშეკრულებების შესახებ***

2016 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 239 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

***2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ***

2.1.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2016 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1. | **ფ/პ გიორგი იასაშვილი** | სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" 15.09.2004წ. #726-კ ბრძანების არარა აქტად აღიარება (შეტანილია სასამართლოში რამოდენიმე დაზუსტებული სარჩელი) | _ აღნიშნული მოთხოვნით სარჩელები შეტანილი იქნა როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, ასევე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში<br>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, მის წარმოებაში არსებული სარჩელები განსჯადობით გადააგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განსახილველად.<br>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 ივლისის განჩინებით, აღიძრა დავა განსჯადობის შესახებ და შესაბამისად, საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განსჯადობის დასადგენად.<br>_ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, საქმე გადაეგზავნა განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას |
| 2. | **ფ/პ გიორგი იასაშვილი** | სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" 14.09.2004წ. #724-კ ბრძანების და 15.09.2004წ. #726-კ ბრძანების არარა აქტებად აღიარება (შეტანილია სასამართლოში რამოდენიმე დაზუსტებული სარჩელი) | _ შეწყდა საქმის წარმოება |
| 3. | **ფ/პ გიორგი იასაშვილი** | სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებების არარა აქტად აღიარება | _ შეწყდა საქმის წარმოება |
| 3. | **ფ/პ მამუკა გერმანიშვილი** | სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | **_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.**<br>კომპენსაციის ნაწილში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" მ. გერმანიშვილის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 2 000 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ლარის ოდენობით, ხოლო, სახ. ბაჟის სახით - 120 ლარის ანაზღურება.<br>_ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით.<br>**_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და მ. გერმანიშვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე** |
| 4. | **ფ/პ გიორგი ბაქრაძე** | კომპენსაციის (განაცდურის) ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში<br>_ დღემდე უცნობია, თუ როდის ჩაინიშნება აღნიშნულ საქმეზე მოსამზადებელი სხდომა. |
| 5. | **ილია ნატროშვილი** | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | **_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.** |
| 6. | **ვახტანგ კანდელაკი** | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში<br>_ დღემდე უცნობია, თუ როდის ჩაინიშნება აღნიშნულ საქმეზე სასამართლო სხდომა. |
| 7. | **ეკატერინე მიშველაძე** | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, მორალური ზიანის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში<br>_ რეპლიკის სტადიიდან სასამართლოს სხდომა გაგრძელდება 2017 წლის 24 მარტს |
| 8. | **ბესიკ შარაშიძე** | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 9. | **მანანა სარალიძე** | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 10. | **ქეთევან გოგაძე** | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 11. | **გაგა მოდებაძე** | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 12. | **ეკატერინე მაჭავარიანი** | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 13. | **შპს "მათემოტორსი"** | საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან სატენდერო ხელშეკრულების შეწყვეტის უკანონოდ ცნობა და სახელშეკრულებო ურთიერთობის აღდგენა | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |

2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2016 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

| № | მოპასუხე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1. | **შპს "აიბი-ევროკავკასიური უნივერსიტეტი"** | სასპონსორო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი დავალიანების - 3 000 აშშ დოლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება | **_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.10.2014წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სასარგებლოდ დაეკისრა:**<br>1) 2 500 აშშ დოლარი;<br>2) 1 747,50 აშშ დოლარი;<br>3) პირგასამტეხლო 2014 წლის 16 მაისიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე 2 500 აშშ დოლარის 0,01%-ის ოდენობით<br>_ სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობები პირგასამტეხლოს და საპროცესო ხარჯების დაანგარიშების ნაწილში, რომლის გამოსწორების თაობაზე სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" განცხადებით მიმართა სასასამართლოს. **სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა დაკმაყოფილდა**<br><br>**საქმის წარმოება დასრულებულია** |
| 2. | **შპს "Georgian Water & Company"** | სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში<br>_ დღემდე უცნობია, თუ როდის ჩაინიშნება აღნიშნულ საქმეზე სასამართლო სხდომა. |
| 3. | **შპს "ავტოლუქსი"** | საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების - 1 897,48 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში<br>_ ძირითადი დავალიანების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, სასამართლოს მიერ მისი ოდენობა შემცირდა.<br><br>**საქმის წარმოება დასრულებულია** |
| 4. | **ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"** | სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების - 25 960 ლარის და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა. | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.<br>_ გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო, სასამართლოში შეტანილი იქნა განცხადება აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების თაობაზე.<br>_ სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში უნდა ჩაგვბარდეს შესწორების შესახებ კანონიერ ძალაში შესული განჩინების ასლი. |
| 5. | **შპს "პიართაიმი"** | სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა | _ როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. |
| 7. | **შპს "ტიფლის ტვ"** | საიჯარო ქირის სახით | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ძირითადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა, მატერიალური ზიანის ანაზღაურება | სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |

2.3.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- მიმდინარე ეტაპზე თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააღსრულებო ფურცლები (და შესაბამისად, სასამართლო წარმოება დასრულებულია) მოვალეების: **შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაჭი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, ი/მ თამარ კოპალიანის, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, ფ/პ ადა მჭედლიძის, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს და შპს "კრეატივ ქორნერი"-ს** მიმართ.
  *ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა დაწყებულიყო იძულებითი აღსრულება **ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს** წინააღმდეგ, რადგან ჩავვბარდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი. თუმცა, გადაწყვეტილებაში და შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელში პირგასამტეხლოს ოდენობასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა იქნა დაშვებული სასამართლოს მიერ, რაც ასევე სასამართლოს მიერ უნდა გამოსწორდეს, რასაც გარკვეული დრო სჭირდება.*
  *აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, აღნიშნული დებიტორის მიმართ დაიწყება იძულებითი აღსრულება.*

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18.05.2010წ. განჩინებით**), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის **14 318,01 ლარის** დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში**. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლომ ხელახლა უნდა მოიწვიოს კრედიტორთა კრება და მიიღოს გადაწყვეტილება 14 318,01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე**.

  **კრედიტორთა კრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ჩატარდა ა/წ 28 ოქტომბერს.**
  **სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში.**
  **წარმოება მიმდინარეობს და ჯერ დასრულებული არ არის.**
- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააღსრულებო ფურცელი **ფიზიკური პირის ფიქრია მიქაბერიძის** მიმართ, რომლითაც ამ უკანასკნელს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა სახ. ბაჟის სახით გადახდილი თანხების ანაზღაურება.

***3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ***

2016 წლის მე-4 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 5 განცხადება. ხუთივე განცხადება დაკმაყოფილდა.

***4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ***

*ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ*

2016 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ წარმოდგენილა.

*ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ*

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2016 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი შემოიტანა საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციამ, რითაც მოითხოვა საინფორმაციო პროგრამაში "მოამბე" 2016 წლის 20 ოქტომბერს (18 საათიანი "მოამბე"-ში) გასული სიუჟეტის გამო "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის თანახმად, საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტების უარყოფა.

ვინაიდან, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ აღნიშნული ქმედება ფაქტიურად განხორციელდა, ასოციაციამ დაკარგა ინტერესი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით და უკან გაიხმო ზემოთ აღნიშნული საჩივარი.

***5. სხვა საკითხების შესახებ***

სხვა მხრივ, იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და ა.შ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში. არქივში არ მომხდარა მისთვის საჭირო ტექნიკური გადაიარღება ამ კვარტალშიც არ დამტკიცებულა არქივის ახალი სტრუქტურა და შესაბამისად, ადამიანური რესურსი ახორციელებს იმ სამუშაოს, რასაც აქამდე ახორციელებდა.

მოძველებული ელექტრონული საძიებო ბაზის განახლებისთვის დაიწყო შესაბამის სამუშაოები. მოვიძიეთ ის სპეციალისტები, რომლებმაც უნდა შექმნან ახალი საძიებო სისტემა და მათთან ერთობლივი მუშობით დადგინდა თუ რა სახის უნდა იყოს ეს ბაზა და როგორი უნდა იმართებოდეს ის.

ტელევიზიის 60 წლისთავთან დაკავშირებით მოვამზადეთ საიუბილეო კატალოგი, რომელიც მოიცავდა ჩვენს ფოტოფონდში დაცული ფოტოების ნაკრებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ალბომის გამოცემის იდეა და შესასრულებელი სამუშაოები ოქტომბერში უკვე მივაწოდეთ მენეჯმენტს, სამწუხაროდ საიუბილეოდ ვერ მოხერხდა ამ კატალოგის გამოცემა, მიზეზად თანხის არ ქონა დასახელდა. არადა კატალოგის გამოცემას სულ მხოლოდ 3500 ლარი ესაჭიროებოდა.

გარდა მიმდინარე სამუშაოებისა, არქივის სამსახური მუდმივად აკმაყოფილებს გარე მომხმარებლის მოთხოვნებს სხვადასხვა შინაარსის მასალაზე. 2016 წლის IVკვარტალში გაყიდული მასალის შედეგად საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა14049.83 ლარი.

**ფილმო-ფოტო და ვიდეო ფონდებში შესრულებული სამუშაოს ანგარიში**

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზირებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული), კინო და ძველი ვიდეომატარებლებიდან

ფილმოფონდი

ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზეგადატანილი, ძველი და მიმდინარე (ახალი), სატელევიზიო პროგრამები დაფილმები, - სულ: 1223 ჩანაწერი - 460 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიდეო მასალები.

ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ტიპის ვიდეო მასალები – შიდა და გარე ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეებისთვის) გამოყენებისთვის - 198 ერთეული – 299 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიდეო მასალები; მათ შორის რესტავრაცია-კორექცია ჩაუტარდა - 11 ერთეულ – 6 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის სხვადასხვა ტიპის აუდიო-ვიდეო მასალებს.

“დიდი ვიდეოფირებიდან” (55 მმ.) გადატანილია ციფრულ (DVCAM)მატარებლებზე 31 ერთეული აუდიოვიზუალური მასალა დაახლოებით 28 სთ. და 45 წთ. პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა (უზუსტობების აღმოფხვრა; თარიღების დადგენა, დაზუსტება; დამატებითი დეტალების შეტანა; კორექტურის გასწორება და სხვ.).

ციფრულ DVCAM მატარებელზე გადაწერილია, საქართველოს ტელევიზიის რედაქციების მასალები, 16 მმ. კინოფირიდან (უხმოდ და ხმით). 49 ერთეული (დასახელება), 97 ნაწილი , 16:20 სთ. (მათ შორის უნიკალური მონიტორული ფირიდან, 3 ერთეული, 11 ნაწ. 1:50 სთ. გადაცემა და სატ. დადგმა ხმით).

დამუშავდა საცავიდან ამოტანილი მასალა (შემოწმდა-გაიწმინდა და შეიცვალა შეწებების ადგილები; გაუკეთდა ან შეიცვალა რაკორდები; გამოიცვალა კოლოფზე წარწერები; განცალკევდა გამოსახულება და მაგნიტური ფონოგრამა(ფონოგრამა ჩაიდო ცელოფანის პარკში) და დაბრუნდა საცავში135 ნაწილი (კოლოფი).

ელექტრონულ ბაზაში შეტანილია და შედარებულია საცავთან, კატალოგის 220 ბარათი.

პარალელურად მიმდინარეობს საცავის დალაგება-დასუფთავება, კლიმატური მონაცემების აღნუსხვა; საცავში დაბრუნებული მასალების ადგილზე დაბრუნება; დასამუშავებლად ამოსატანი მასალების მოძიება ნუსხის მიხედვით.

**ფოტო ფონდი**

გეგმიურად აციფრული და აღწერილია, შესაბამის პროგრამული ბარათში 115 ფოტო ანაბეჭდი.

ვებგვერდისა და სხვა და სხვა რედაქციებისათვის, 110 საქაღალდედან გამოვლენილი და აციფრულია, 89 ფოტო ანაბეჭდი.აღიწერა (გადამოწმდა) ფოტო საქაღალდეები რაოდენობრივად.

დამუშავდა აფხაზეთის თეატრის ფოტო მასალები. აფხაზური და ქართული დასების ფოტოები გადანაწილდა ცალ- ცალკე საქაღალდეებში; პარალელურად მიმდინარეობს საქაღალდეების თემატური აღწერის გადამოწმება. დაზიანებული საქაღალდეების და კონვერტების შეცვლა, დასკანერებული ფოტოები დაბრუნდა შესაბამის საქაღალდეებში და შესაბამის ადგილზე საცავში. გადაცემების ავტორების და პროდიუსერების მომსახურება

**აუდიოფონდი**

სულ IV კვარტალში გაიციფრა 11182 წუთი 7 წამი = 186 საათი 7 წამი = 111 Gb.

გასათვალისწინებელია რომ, ორ სტუდიაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და ზამთრის პერიოდში ოთახები არ თბება საკმარისად და აპარატურა არ მუშაობს გამართულად

**საინფორმაციოს არქივის განყოფილება**

ეთერში გასული მასალა - სიუჟეტები, კადრ-სინქრონები და გადაფარვები-დეტალურად გაშიფრული და დაარქივებულია 13 412 ფაილი, რომელმაც შეადგინა 211 საათი.(შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 5 408 ბარათი).
შავი მასალა - გაშიფრული და დაარქივებულია მასალა 3 საათიან DVC-ის 22 კასეტაზე, რაც შეადგენს 66საათს,ანუ შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 177 ბარათი.
მოამბის არქივიდან მასალების მოთხოვნის მიზნით შემოსულია 10 წერილი (ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია).